

ଶ୍ରୀମତୀ ପାତ୍ନୀ  
କଣ୍ଠରେ ଦେଖିଲା ହୁଏ



M

ପାତ୍ନୀ

1909

# შინაარსი



სამიადან  
პირველი გვ.

I—საახალწლო სიმუერა.—ღეწი, ვაჭა-ფშაველასი . . . . .	3
II—სამკედლოში.—თ. რაზიკაშვილის . . . . .	6
III—კრისტიან გმირი.—ცხატის . . . . .	15
IV—ახალი წელი ფშავერი.—ვაჭა-ფშაველასი . . . . .	17
V—ახალი წელი მოწამე იყოს.—ცხატის . . . . .	23
VI—საახალწლო შეთველა.—ღეწი, ქ. მავიშელის . . . . .	27
VII—ეკატერინე 50 წლის დღესასწაული.—ვ—სა . . . . .	29
VIII—სინათლე და მისი მნიშვნელობა — (ბაბუქელება) ა. მოსეშვილის . . . . .	39
IX—ნაპოლეონ ბონაპარტი, ძირ მცდელი.—თარგმანი თ. ბაჭრაძის . . . . .	46
X—მაღლიერი ლომი.—(რომაელთა თქმულება. ვ. სვეტო- გიასი). თარგმანი ელ. ჩერტონოვის . . . . .	50
XI—რამკლი ბაქრაძე. — ნეკროლოგი ა. მ—იას . . . . .	53
XII—მოთოლოვი, ტრანდის ომი.—დომედესის და ფიცის გამტესელის პინდარისის შებრძოლება, ა. შიქაბერიძის . .	55
XIII—გასართობი:— 1) ზარალი, — 2) ირომეტიცალი გა- მოცანები, — 3) გამოცანი, — 4) რებუსი და ილსნი . . . . .	62
XIV—ბიბლიოგრაფია.—ნ. ლორთქიანენიძის.— ედ: ზე	

—

ԱՅԹԱՀԱ  
ՃՐՈՏԵՑԵԼՆԵՐ

ՑՈՒՑԱՎԱՅՐ

1905 ՄԱՅԻՍ



# შინაარსი



სამართლებრივი  
სამსახურის მუზეუმი

I.—საახალწლო სიმღერა.—დექსი, ფაფა-ფშაველასი . . . . .	3
II.—სამკედლოში.—თ. რაზიეკაშვილისა . . . . .	6
III.—კრისტიან გმირი .—ცხვირისა . . . . .	15
IV.—ახალი წელი ფშაველი.—ფაფა-ფშაველასი . . . . .	17
V.—ახალი წელი მოწამე იყოს.—ცხვირისა . . . . .	23
VI.—საახალწლო შეთვლა.—დექსი, პ. მავრიშვილისა . . . . .	27
VII.—აკაკის 50 წლის დღესასწაული.—ვ—სა . . . . .	29
VIII.—სინათლე და მისი მნიშვნელობა.—(გაგრძელება) ა. მოსკოვიანისა . . . . .	39
IX.—ნაპოლეონ ბონაპარტი, ძია მლედელი.—თარგმანი თ. ბაქრაძის . . . . .	46
X.—მაღლიერი ლორმი .—(რომელთა თქმულება. გ. სკეტიდო- ვის). რაზმანა ფუჭ. ანტონოვსკისა . . . . .	50
XI.—იუსტინი ბაქრაძე.—ნეკროლოგი ა. შ—ისა . . . . .	53
XII.—მითოლოგია, ტრადიცია .—დათმედესის და ფიცის გამტებელის პინდაროსის შებრძოლება, ა. შიგაბერიძისა . . . . .	55
XIII.—გასატოლიბი:—ა) შარადა, —ბ) არითმეტიკული გა- მოცანები, —გ) გამოცანა, —დ) რეპუსი და ალსნა . . . . .	62
XIV.—ბიბლიოგრაფია.—ნ. ღორგევანიძისა .—კდ:ზე	



Цена ტრ. 7-აშ.



## საახალფლოს სიმღერა



ქალ-წელია, თოვლი ჭირვს,  
ჰყინავს და ცივა დაკრძალებულს მინდერტბზე  
მგლის ჯოგი დაძრწის შეაერა.  
ჩვენ ვსტკბებით ტკბილ ტუფის და  
მცენარეები გლოვობენ:  
არეინ აბერებს „ტკბილიდა“,  
სიჩუქრებს ვერა შოვობენ.  
ბალში და მინდერად ყვავილნი  
ჩამხმარან, ველარ ხელობენ,  
ხევბი ფოთოლ-გაცერცილნი  
მათ ნაცელიდ თოვლსა მცველობენ  
ყვავილთა ახალი წელი  
მაშინ იქნება მხოლოდა,






ରହୁପା କୁ ପିଲା ଶେଷତାରି  
 ଗାନ୍ଧିରେବା ଶାଶ୍ଵତାମୁଦା,  
 ରହୁପା ଲାଲଗ୍ରେବା ମାନୀଶ,  
 ଶୁଶ୍ରୀନା ଚିତ୍ରିମା ଲାଲଶ୍ଵରେବା,  
 ରହୁପା ତିରିଲାନ ପ୍ରେତିକ  
 ମେଜେ ଲାଲୁପ୍ରେତିବୁଲ୍ଲା ଗାନ୍ଧିଶ୍ଵରେବା.  
 ଏହି ଲାଲା ଏହି ଶୁଶ୍ରୀନେବିଶତଙ୍କୀ  
 ଏହାଲାକ ଚିତ୍ରିତ ଲାଲାମା,  
 ଏହା ଲାଲୁପ୍ରେତିବା ମତା-ଦାରୀଶ  
 ଲାଲାକୁ ଏହା ଲାଲାମା,—  
 ତାନ୍ତ୍ରିଲା ଚିତ୍ରିତ ମନୋଦିଶ ମିଥିବିନ୍ଦୀ,  
 ପ୍ରାଣ ପିଲାତି ଲାଲୁପ୍ରେତିବା.  
 ଅପ୍ରାଣେ ଲାଲାମାନ ମିନ୍ଦିଲୁରେବା,  
 ମିଥିବିନ୍ଦୀ ଏମନିକେତିକୁ ବିଶିଳାଦା,  
 ଚିତ୍ରି ପ୍ରାଣତାଲାକ ଗାନ୍ଧିଲୁରେବା  
 କୁଳେବିଶ, ମନୋଦିଶ ତିରିଲାନ,  
 ମନୋଦିଶ ମେରିପ୍ରଥାଲା ମନୁଷ୍ୟାତ  
 ମନ୍ତରପ୍ରାଣ ଲାଲାକୁପ୍ରାଣାତଃ;  
 ଏହାଲାକାମା ଏହାଲାକ ଚିତ୍ରିତ  
 ତକ୍ଷିନ, ମିନ୍ଦିଲୁରୁଲାନ ମାଲାଦା,  
 ମନୋଦିଶ, କୁଳେବା, ମିନ୍ଦିଲୁରେବା,  
 ପ୍ରାଣତାଦ,—ପ୍ରାଣପା ପ୍ରାଣତ ଶ୍ଵେତାଲା:  
 ଚିତ୍ରିଲାମାନ ମିଥିରେବିନ୍ଦାନାଦ,  
 ପ୍ରାଣେଲା ଲାଲୁପ୍ରେତିବା ଚିତ୍ରିଲାଦା॥  
 ମାତ୍ର ଲାଲେ କିମ୍ବନ ପିଲାମାନରୁଲାନ  
 ଏହା ମନୋଦିଶନ ପିଲାନ ପିଲାନ  
 ଗାନ୍ଧିଶ୍ଵରୁଲାମାଦ ପ୍ରାଣତ,  
 ରାତ୍ରି ଚିତ୍ରିଲାମା ଏଲ୍ଲେଖିତ କିଲାଦା:  
 ଶୁଶ୍ରୀନାକ ପ୍ରଥାନେବା ତର୍ପ ଶୁଶ୍ରୀନାତ,  
 ପ୍ରଥାନ କାନ୍ଦିନ ପ୍ରାଣନେବା ମିଥିରାଦା;  
 ଚିତ୍ରିଲାମା ପିଲାମା ମନୁଷ୍ୟାତ,  
 ରାତ୍ରି ବିଶିଳାମା ମିଥିରାଦା.



ხვალ გაითბობენ წელ-გულსა,  
 თუ დღეს არიან ციფადა,  
 უხინკულოდ, უგოზინაყოდ,  
 დალონებულნი, მწკრიცადა.  
 რომ არც თავიდა ჩქარობენ:  
 შეუდროდ არიან, ფრთხილადა,  
 ზამთარ-ზაფხული, ეტყობა,  
 მათ ეჩვენება ხილადა,  
 არ ეძახიან ერთმანეთს  
 საშფოთრად, ასაღრტვინვადა.  
 დედ-შემის ხელში არიან,  
 ორი ჰპატრონობს წყვილადა:  
 მამა საწერონელად გულ-ციცობს,  
 მრისხანობს თავის წილადა;  
 დედა-კი ულოლივებს  
 შეილებს, ეპურობა ტებილადა  
 და ახალ-წელიც მის მოჰყავს  
 ოჯახის მოსალხინადა.

ვარა-ფშაველა





## სამჭედლოში



იუბერე, შვილო, დაუბერე, ხეალ კვი-  
რია, ზეგ იხალი წელიწადია, გავაკე-  
თოთ რამე, რომ გვყიდოთ და სახალ-  
წლოდ გყყიდოთ რამე.

უძხხდა შევად ჩამომხმარი შპელელი  
კარგუა თავის რვა წლის მიხიას, რომელსაც მეტ სახელიად  
„კურქანის“ ეძხდნენ და მართლაც ისიც ბევრით არაფრით  
გირჩეოდა ნეხვზედ ნიყორ მხისგან გაშვებულ ყურძნის  
კურკისგან.

მიხიაც, რაც ძალი და ლონე ჰქონდა, ებძოდა საბერ-  
ველს, იმის განიერ მუცელს მელიავეჭს ძლიერს აწვდენდა და  
ეძაძგურებოდა დაბერილ საბერვლის გუდებს; თუ მარცხნივ  
აწვებოდა, მაშინ მარცხენა გუდა იუკებოდა, და იმავე ღრმის  
მარჯვენა იბერებოდა; სიმაგიროდ, როცა მარჯვენა გუდის  
ღრმ მოვიდოდა დაუუკვისა, იხლა მარცხენა იბერებოდა;  
საბერველს გამოეყო ქუჩას ქვეშ რენის ტუჩი და ქშუტუნი  
გაჭქონდა ცეცხლ-ქვეშ ნახშირებში; ქარს ჰაერში ნაცარი და  
ნაპერწელებად ქცეული ფერფლი აქვთნდა, ნაკვერჩლები  
მხიარულიად ბდლურიალებდნენ და ტკაცა-ტკუცი ედგათ.

მიხიამ გადმოიხედა, დრო ხომ არ არის დავიცენოვთ, მაგრამ მამას რაღაც სქელი რეინა შეეღლა ციცხლის დიდი მარწუხით ატრიალებდა, ეტყობოდა ბერეა დიდი სკირ-დებოდა.

— დაუბერე, უნდა ადუღდეს. ის ეგრე, ეგრე! ის ყო-ნალ ბიჭო, ეგრე ბიჭო! — იძახდა წახალისებული კარგუა, თან ცუცხლში მუკით წმინდა ქვიშისა ჰყაიდა, რკინას ხენ გადაა-ბრუნებდა, ხენ გადმოაბრუნებდა, თან ლილინებდა, ლილინებ-და გაუბედავიდ, ჩუმად, შეუმჩნევლად.

ლრმად დანაოცებულ კანში ხელის სისქედ ჩაჟერო-და მტვერი და კუკყი, ხხე დალრეჯოდა, შებლზედ შავი ოფ-ლის კუკური ეყარა.

— ეს ოხერი, რაც უნდა ციცოდეს, ქურასთან დაგრძე-მლთან მაინც ცხელა, — იძახდა კარგგუა.

მაინც ლილინებდა კარგუა რაღაც უცნობ პოეტისგან შეთხულ ლექსს მეედლებზედ და ლვინოზედ.

მამის ლილინისგან წახალისებული მღეროდა პატარი მი-ხიაც, მაგრამ ამას თითოეული სიტყვა, თითოეული ხმა მკა-ფიოდ და გრძნობით გაშოჰყავდა, როგორც გრდემლზედ ჩა-ქუჩის ზმა. მღეროდა ობლის ლექსს, რომელშიაც გამოოქმუ-ლი იყო ობლობის სიძნელე:

„ენა ვერ იტყვის და პირი,  
ობლობა ისე ძნელია,  
სიღარიბე სჯობს ობლობას,  
ობლობა მეტად ძნელია“. \*)

ემდურებოდა მკედარ დედას, რომ დასტოვა ობლი მამის ამარას, უდედოდ, უპატრიონოდ; ეხვეწებოდა თან წევ-ყვანა იმ ნათელ ქვეყანაში, საღაც არც სიცივე იყო, არც მძიმე რკინის კვერები, არც სიმშილი და სიტიტვლე.

— მცივა, დედა, მცივა, ამბობდა ლექსი, — შენ არა ზე-

\*) ხალხური.

ვარ, რომ ხელები უბით გამითბო, ჩემო, კარგო, დადასტური, სარ და ხარ, რომ შენ შვილს თავზედ და ტანზედ ჭუჭუა სელის, სისქედ იძევს და არ გაბან, არ გაასულთვებდე?! ხადა ხარ, დედილო, რომ მშიერი ცკელები და მამის შიშით პურიც ვერ მომიტეხია? ხადა ხარი ალარ მოხვალ შენს შვილებთან?! გაეგონა სადმე, თუ ასწავლა ფინმემ, თვითონაც არ იცოდა, მხოლოდ გრძნობდა, რომ თვითონაც ასე იტყოდა, სხვისგანაც რომ არ გაეგონა; იმიტომ იყო, რომ ზოგი ლექსი რითმით იყო და ზოგსაც, როგორც ენაზედ იღებოდა და გული ეუბნებოდა, ისე გამოსთქვამდა.

— კმარა, ბიქოო! იძიხის მამი.— მოდი, კვერი დამიკარ!

მიხია თავს ანებებს საბერველს, რომელიც ხმასა სწყვეტს და ეძებს ჩაქუჩს.

ცეცხლმაც გრიალი შესწყვიტა, ილი ჩაქრა, ნაკვერჩლებს ყვითელი ფერი დაედოთ.

კარგუამ გამოილო მარწუხით თეთრად გვეარევარებული, გალვიებული, რკინა; გაჯავრებული ნაპერწკლები სისინით ზოგი კარგუას ტყავის წინსივენზედ ცვიოდა, ზოგი იშლებოდა და უჩინარი ხდებოდა.

ერთი ნაპერწკალი გაქინდა და მიხიას ტიტველ ფეხზედ დაეცა; მიხია სიმწვავით შეხტა, დაიღრიჯა, მაგრამ მამისა შეეშინდა და ხმა-კრინტი ვერ დასძრა.

— მე ხომ არ ჩაგაგდე ცეცხლში, მე ოხერთ, ფიქრობდა მიხია, მე რას მერჩი? მამა ჩემი რომ არ მატანდეს ძალის, სამკედლოში სულიც არ შემოვდგამდი ფეხსა!

— დაქა რალა, რა პირი დაგილია, შე ოჯახ დასაქცევა, ხედივ, ხაცაა რკინა გაცივდება, ნახშირი მაინც არ გვნანება, შე... შეუტია პატარა მიხიას.

ძლივს ერვეა მიხია გძელ ტარიან მძიმე. ჩაქუჩს, სწევს მაღლა, იზნიქება უკან, რომ უფრო იღვილად დასძლიოს, შერე რაც ძალი და ღონე იქვს, უშეებს რკინაზედ თითქმ გუდიდან პატარა ცეცხლის ეშმაკები გამოხტნენო, გამშვილა

აქეთ-იქით აუარებელი ნაპერწყალი შიშინით და სისინით; ზოგი მიხიას მიახტა, ზოგი კარგუას, ზოგი მიწაზე და და გაცივდა და მოკვდა.

— დაჲკა! დაჲკა! ყვირის კარგუა.

სკემს მიხიაც, თან ხვენეშის, მთელი ტანით თან მისდევს ჩაქუჩის, თითქო შუბლიც ზედ უნდა დაჲკრასო.

— ეგრე! ეგრე! თი ყოჩალ! — იძახის კარგუა და თან თვითონაც ჩაც ძალი და ღონე იქვე, სკემს და სკემს გრდემლ-ზედ მძიმე რკინას. რკინა კევრით იღეპება, ბტყელდება, ნაპერწყალი თანდათან ელევა, შუქი აკლდება, შავდება, ძირს მხოლოდ რკინის შევი ნამცეცებილა ცვივა.

ხვენეშის პატარა მიხია, ცხვირის ნესტოები ებერება, ჰერს ხარბაც ჰყოლაპავს, გრდემლთან კილუვავის ტოლი ძლივს მოსჩანს..

— იხლი დაუბერე, მიხი! იძახის მაშა და კვლივ მოისმის საბერელის ქშინვა, პატარა ბიჭის წრიპინი და მიმის ძველებური სიმღერა.

ცეცხლი კელავ ლვივდება, წითელ-ყვითელი ალი, ნახშირებ ქვეშ დაბადებული, ზემოთ მოძვრება, ნახშირებს ირგვლივ ეხვევა, ჰკოცნის, მერე იყოფა, გველეშაპის ენებივით იყლავნება, ზევით და ზევით იწევს და ქერ ქვეშ იქარგება.

მოისმის ჩაქუჩის ტკრციალი, უროს გრგვინვა და გრდემლის კვნევა.

— ეგრე ბიჭო, დაჲკა, ბიჭო! პაიდა ბიჭო! შედის ეშეში კარგუა. თან თვითონაც თარიევ ხელით ირჯება, ჯანს არა ზოგავს.

ეხლა ცულების აშინდია, ზამთარია, შეშის საქრელ-დ სკირდებათ; ხვალ მზავზარეულ ცულებს გაიტანს სასწორზედ, გაჲყიდის და ზეგისთვის პურს მაინც შეიტანს სახლში. შვილები ეცოდება. მიხიას გარდა ერთი თერთმეტის წლის გოგოა ჰყავს სახლში.

— ეს, შე ოხერო სიღარიბევ! ერთი წყვილი ახალი ჩუს-

ტი მაინც როგორ ას უნდა უყიფოს პელის, მალე ვისათხოვთ გათდება და ამ ქვის ხეთქაში ფეხში უკელი დარის? სახლის მომვლელი, ჩვენი ცეცხლის ამნთები, შეკაბინდის მოხარშეელი ის არის, ჩვენი დამრეცხი და დამკერებელი,—ფიქრობს კარგული

— თუმცა მალმალე არ ვიცვლით, — სულ ერთია, მცე-  
დელს რაც უნდა ჩიაცვი, — მაგრამ როცა ვიცვლით, მაშინ  
ხომ საჭიროა დამჩეული.

ძალიან ყოჩაღია, ცხონებულ დედასა ჰგავს, ერთ ხათს  
არ დადგება ცუდიდ: სახლის საქმეს რომ მოჩჩება, მერე შე-  
ზობლებს ბუმბულს უჩჩევს, მატყლს უწეწევს, წყალს უზი-  
დავს, სარეცხში ებძარება,— თითო-ორიოლი გროშია შოუ-  
ლობს. ორ-სამ წელიწადში ერთ კაბის ვერ კუყიდი, სულ  
თვეის ხელით გამოდის, ძმასაც იცმევს. ზოგი ძველ კაბის  
ძლევს, წინდებს, ფეხსაცმელს... იკერებს, აპატარივებს, თვი-  
თონაც იცვამს, ძმასაც ტიტველს არ იტარებს. შეკედლის გა-  
მოჩჩენა კი ყველაზ იცის, რაც არის,— ნეტი სახლის ქიხა  
გადვიხალო, სახლში პური შევიტინ, ნავთი და მარილი კი-  
ყიდო, ხანდახან დაღალულ გულზედ თითო-ორიოლი ჭიჭი-  
ლვინო, ან არაყი გადავკრა—ებ, ბარებ არ არის კარგი ლო-  
თობა! ხანდახან ერთი კვირის ნაწვავ-ნადავს ერთს დღის  
ვაქრობ დუქანში... მერე მიხის ოფლი კაცზა შევამოს?...  
მიგრამ ოხრად დაჩჩეს, მთელი კვირა ცეცხლში იწვები, რკი-  
ნის პკერივ, მერე გამოხვალ დაღალული, შეგვზვდება შენ-  
ხავით ყელგადაგდებული ჭეგობირი, შეგიპატირებს, ან შენ  
დაუძხებ ერთ ჩარქებაზედ... ჩარქე ნიხვის თუნგად იქცევა,  
ნიხვის თუნგი თუნგად... წიხვალ ცარიელ სახლში ფართა-  
ტით... მეორე დღისთვის არც პური, არც შეშა და ცეცხლი!

ექ, განა ჩვენს გაჩენაში ღმერთი ურევია! და ისეთი ამოიოხერა კერვუამ, რომ მიხიდ საბერვლის უკანიდან გად-  
მოხედა, მამას რა დაწესერთაო.

— დაიკა, ბიჭო, შე ოჯახ დასაქცევო, დააყენე საბერ-

ველი, შიგ ჩამდნარა ცული! ყვირის კარგუა. — რა ღმერთი  
გამიწყრა, სადა მქონდა ფიქრი!

სცენები თეოტალ გავარეარებულ რეინას კერძოს და ურთოს!  
თოთქო სულ გაიფრიმო რეინა, მთლიალ ნაპერწყლებში ეხვევა  
და ყვიოელი ბურჯლილ-ბურჯლილი აქეთ-იქით სისინით იფა-  
ნტება...

მიხის ვილისიც გრძელი ძალზედ ნიდაყვ გამოკერებული  
ხალათი, იცია; გრძელი სახელოვბი გადუკეცნია. პელის  
უნდოდა დაგმოკლებინა, მაგრამ მიხიამ არა ქნა, როგო ქუ-  
ჩაში მიცდივარ, გადმოკლი და შიგ თბილიად შევყოფ ხელებ-  
სამ.

ზარეალიც დაუკონკებია, კოჭებამდე ვერა სწვდება, —  
რად უნდა გრძელი, ტალახში მოსერისო, იძიხდა ჭკვიანი  
პელი. ზართალია საკერებელი სხვა დაუდვია, მაგრამ სიცი-  
ვეს რა ეკოხტოვება? ეს არის რომ ფეხებზედ წინდები არ  
ეცვა, — ძაან დაგლეჯილი ჩუსტები პქონდა და წინდებს ხმა  
ერთ დღეს არ შეაღწეონ ებდა. ფიქრი არ არის, ფეხი არ გა-  
ცვდება, წინდებს ბედნიერ დღეშიაც მოესწრობა.

სამაგიეროდ, მოკულის თუ არა ქურა, მიხია ზაშინვე  
ფეხებს ჩაპყოფს ცეცხლში და ითბობს, სანამ სითბო გამოე-  
ლევა.

ორშაბაორიდან კეირამდე ამ ყოფაშია მიხია, იმისთვის  
არც წიგნი, არც სკოლი, არც ალერისი და სიყვარული ვის-  
განმე. მხოლოდ კეირამბით არის თავისუფალი და მთელ  
დღეს ქუჩაში აღამებს. თუმცა და უშლის ქუჩაში სიარულს,  
მაგრამ მთელ კეირას სამშედლოში ნაგდებს შინ აღა დაა-  
ყენებს?! პოულობს ამხანაგებს, ან კოჭს თამაშობს, ან სა-  
ლობობს, გუნდაობს, გამვლელ ეტლს მისდევს და ჩუმად უკან  
უჯდება. მიაქროლებს მუქთი ეტლით ქუჩებში, უხარისი, გე-  
გონება საკუთარით, სანამ არაენ მისცხებს და არ ჩამოგ-  
დებს, ან თვითონ მეეტლე არ გაუგებს და მარჩახით არ  
აუწვავს გვერდებს, თუმცა იშვიათიდ, აღდგან ეტლის გაჩე-

რების იშვიათად ელის და გზაშიც ხტება. თუ სადმე არიანს უკერენ, ან სათამაშოს რასმე აჩვენებენ, მაშინ ხრმ-ძრმ-არის, და იქ.

საღამო ახლოვდება. ორი ცული უკეყ მზად არის, მე-სამესაც ეს არის, ეხლა იწრთობს მამა. მზადვეა რამდენიმე შამფური, ზედაგვარი, მაშა და სხვა რაღაც წვრილმანი: რა-ზა, კოქაჟი, ანჯაშა. აი მთელი იმათი აელადიდება და ხელო-ვნება.

მიხია ფიქრებშია. ზეგ ახალი წელიწადია, მოდი და ნუ გაიხარებს. — რაც უნდა იყოს, მაინც სხვა დღეებსა სჯობია, მდიდარს და ღარიბს, ყველის რამე აქვს; ყველა ცდილობს, ამ დღეს კარგი სასმელ-საჭმელი იქონიოს და ახალი ტანი-სამოსი ჩიცევას, — დაგვეკვებება და მთელი წელიწადი ასე გვექნებო. ახალწლისგან სასწაულს ელიან ღარიბები, თო-რებ გდიღრებისთვის ხომ სულ ახალი წელიწადია!

მიხიაც მეელის რაღასაც: სჯერა, რომ ერთ ქალიან კამ-ფეტს მაინც მიულოცვს ვინმე, ერთ ჩურჩხელის ნიტებს! აი მამაც გაძყიდის ცულებს შამფურებს, — წვადისთვის დასკირ-დებათ ახალწელიწადს; იქნება ორიოდე გირვანჭა ნიგოზი და თავლი უყიდოს! გოზინაყი გააკეთონ. იქნება კანფეტებიც იყიდოს! სხვა კი ვეღარაფერი გაბედა ეოცნება, არც იყო ნაირ-ნაირ მაზა-მაზა საჭმელებს, ხილს დაჩვეული. თუ არ და-ითრო მამა ყველაფერი გვექნება და თუ დაითრო, მაშინ კი უნდა გამოვეთხოვოთ ყველას. უეკველია მამა ღორის ხორ-ცხაც იყიდის და რბილ პურსაც. მოხარშვენ ესა და პელო, მოსწერებენ მსუქინ წვენს, ჩაბუღბურებენ შიგ პურს და ჰერიი!

გოზინაყს პელო მოხარშვენს, თაფულითაც ის დაბერებს ახალ წელიწად დილის. დილს, ძალიან დიდს ლუკმის ამოუ-წობს თაფლში, რომ ორ-სამ ლუკმად ძლივს შესჭამოს და თაფლი სულ ექცევოდეს.

— რას დააყენე ე საბერველი, შე ოჯახ დასაქცევო?!

დაუბერე რაღა, მოვრჩეთ და მოვისვენოთ, რომ ხვილ გვი-  
ტანია, გავყიდო და თქვენი საცეცხლი რამე ვრყიდო... ვად,  
დაგვძინა?!

მისით შეხტა, საბერველს ისევ საჩქაროდ სტაცი-  
ხელი და დაუწყო აქეთ-იქით რწება. აქშუცლდა ისევ საბერ-  
ველი, გახურდა ცეცხლი, ალმა ჭერ ჭვეშ აიტანა წვერი,  
ავერ თან აჲყვა დაბრაწული გოზინაყი, კამფეტები, ლორის  
ხორცი, რბილი პური... ჯერ თეთრ-ყვითლად ბრწყინავდნენ,  
მერე თეთრ ფერფლებად იქცნენ, ზოგი ჭერს მიეკრა, იქ  
სხვებთან კუჭებზედ მოიკალათა, ზოგი აპლაბულაზედ შე-  
ჯდა და ქანაობა დაიწყო, ზოგი კარში გაიპარა და ქრის-  
გაჲყვა სადღაც საიდუმლო ქვეყანაში სათამაშოდ და სასრია-  
ლოდ, ზოგი ისევ ძირს ჩამოცვიდა, მიწაზედ გაიტყობა,  
ზოგი საბერველზედ დასკუპდა, ზოგი ინჯამებს მიეკრა, ზო-  
გიც თაროებზედ დასკუპდა, ავერ წამოვიდა ფარფატით ერ-  
თი მიხიასვენ, ხან მიღლა ინწევს, ხან დაეშვები, თოთქო მი-  
ხიასი ეშინიანო, მერე წინ ქორმზედ დაჯდა და თმებზედ  
ამაყად გამოიკიმა.

უბერავს მიხია და თან თეალი ამ თეთრ ფერფლზედ  
რჩება,—ხომ პაწიწა, მაგრამ როცა უცებ იოხედივს, რაღაც  
დიდ ფრინველიდ ეწვენება. მერე თანდათან ილევა, პე-  
პელას ტოლა ხდება, და ბოლოს კი ძლიერდა მოსჩინს.

გომშორდი რაღა, რა თვალებში შელინდები, თქვენგა-  
ნი მაქვს თავი სივსე! გაიბერტყა ქორმი მიხიამ. გაქრა ფერ-  
ფლი, გაქრა გოზინაყ-კამფეტები, დარჩი საბერველი, დაყი-  
ნული ფეხები, გალურჯებული ცხვირი.—დაიღალო.

ეს, მალე მაინც მორჩეს მამა!

\* \*

მეორე დღეს შუადღე იქნებოდა, როცა მამამ ორი  
გირვანქა ღორის ხორცი და ხუთი თუ ექვსი გირვანქა პუ-  
რი უყიდა და გაატანა მიხიას სახლში. ლუმცა იმერჩული თა-  
ფლი ორ შეურ ნიხევრად იყიდებოდა,—აბა ქართლულს საა-


მათოდ ვინ გახდიდა, გირვანქა ხუთ შაურად ფასობდა, ... მა-  
გრამ კარგუას მაინც ივიწყდებოდა თაფლის ყიდვები და მიზანები.

— წამო, პატარა დავლით ჩამე, თაფლს მეტეც იყრ-  
დი, ეუბნებოდნენ მეტობელი მცედლები. ჩვიდნენ და შეა-  
ყოლეს.

მიხრას და პელოს არ გაჰყიურებიათ მამის საქციელი:  
პირველი ხომ არ იყო, რომ ასე იქცეოდა. ხორცი ხვალის-  
თვის შეინახეს და რბილს პურს კა მაღიანად შეექცნენ.

ო. რაზიკაშვილი





## „კრიალას გმინვა“



თვეარის ალექსით მოხიბლულ იჩეს მიბნე-  
დილივით მისძინებოდა, შაგრამ იმ ძილში  
დაუდგრომელი ეინიანივით მაინცა თრთო-  
და, ტყეს მოკისკასეს. ამაყს და გოროზს ტკილი ფშვი-  
ნვა გაუდიოდა, შაგრამ ზოგჯერ კი მთვარის ტრფობით გა-  
მოღვიძებულს შეტი გრძნობით ნელი ოხერა იღმოსდიოდა;  
მაღლა მთის მწვერალს, ვარსკვლავთა მზეერის, ზე-  
უიურ რიხის მტკიცე მომღერალს, ხმა გაეკმინდა,— ვერას  
ამბობდა ამპარტევანც ჩაღვან მის ძირის „კრიალას“ გმინვას  
დინჯად უსმენდა გარინდე ქლი და ზოგჯერ; თითქოს თავ-  
ბრუ დასხმული, მის მოძახილს უნებურად იმეორებდა გვთ-  
ყებული.

მოხტის კრიალი გაშმაგებული, მოშეუის, თითქოს რაღაზე-  
დაც გამწარებული; ხან კლდეს ეხლება, მას შეკლმურს გაცოფე-  
ბული; ხან კი ძველ მუხის დახავსებულს იმოგლეჯით წამს  
ემუქრება, ხან ხევთა შორის ვიწრო ფარგალში, მომიკვდა-  
ვივით დიადად შფოთავს; ხან ილაგ-ალაგ ჟვავილივით შემ-

კულ მინდორთა შორის თითქოსა ცხრება, მაგრამ კი ძა-  
ლით დაკავებული მწარედ ქვითინებს და ამ ქვითინებან ტურ-  
ფა ყველილებს რაღასაც უმღერს და თავის მსგავსად იმ ნაზ  
არსებით არა ქვითინებს. ზოგჯერ კი თითქოს მოვარის ტრფო-  
ბით აღტაცებული მაღლა მიიღწევის, მაგრამ იმ ძალით თავ-  
ბრუ დასხმული გზა ჟეშლილიფით იმავ მინდორზედ დუდუ-  
ნით მითორის. ხან კი მუდარით ჩიმოშტერებულ მის გულში  
მოვარეს ამას მოუთხრობს, ამას უამბობს მიყრუებულ იმ არე  
მარეს: —ოჯ, ჩემო მოვარე, ნაღვლით ელვარე, ნეტავ ილოდე  
ჩემი გულის თქმა, ნეტავ ჟეშედლოს ამ წამს გაღმოგცე, რა-  
საც განვიცდი, რაც რომ გულს მიკლივს: ტალიმ ზღვას  
მოშორებულმა ვერსადა ვპოვე სიმშევიდე, რადგან ძლიერის  
პირშით ვარ, იკვნად მაქვს მხოლოდ მის კიდე. იმას დავვეძებ  
აქამდინ, მის სივრცეს მუდამ ჩვეული, აქ სიკვდილს ვხედავ  
საზიზდარის, ამ ხევში ამონწყვედებული. მასთან მივიღტვი, მას  
ვეძებ, მიჩქროლივს გული მღელვარე, მშეფოთავი გული მას  
ხედავს შორის ჟენი სხივით ელვარეს.

三





## ახალი წელი ფშავები

(ბერების ნამტვობი)



ოლიან ღარისიად ვცხოვრობდი, ხელ-მოკლედ, საწყლად. განა არ იციო, სიღარიბე როგორიც არის? ერთი ფური მყვანდა და ერთი ხაზი, სამი დედალი, ერთი მამალი. ჩემს ბედად სხვა არა მოიძებნებოდა ქვეყანათაზედა. მართლა, ესეც ხომ სიმღიდრეა: ორი შეილი მყვანდა — ქალი და ვაჟი; ქალი ექვსი წლისა, პიჭი თხისა და კოლი.

პური ე. ი. ქერი, რაც მომიღებოდა, სამ თვეს გვყოფილა. დანარჩენ ცხრა თვეს სულ ვყიდულობდი და რით? ფულს ვინ მომაშევებდა? ფული ჩემი მკლავები იყო, ცული, სატეხი, საჭრეტელი და ხოწი. ვხვეწილი თაბხებს, ხონჩებს, ხის ჯამებს, თეფშებს, ბაკნებს.

ვატარებდი სოფლიდან-სოფლად და ვცვლიდი პურზე. ფასი ხის ავეჯისა განიხრული იყო, ფულზე არც კი ვყიდდი, ჩემს ბალლებს პური ერჩივნა ფულსა: ჯაში თუ ხონჩა რამდენ პურსაც ჩიტევდა, იმის ფასი ის იყო.

მოვაგროვებდი პურს, წამოვიკიდებდი ზურგზე და მივუ-

ტანდი ცოლშეიღოს. ვკვებავდი, როგორც ჩიტი თავის ბარ-  
ტყებს.

საბალწლოდ შინ მოვედი. ჩემი გალლები—შალვა და ნენე წინ მომევებნენ და ორივემ ერთხმად მოშახარეს: „მა- მავ, ჩვენი კერძმა იჩნევს, დღი ცური იქნს, დიდი რომ რა!“ კერძმას ძროხას ვეძახდით.

— ଦାନିଲାଙ୍କପ୍ରା ଲମ୍ବିରତି, ଦାନିଲାଙ୍କପ୍ରା, ଶ୍ଵାଳସ୍ଥିର, — ବୁଦ୍ଧବେଶଶ୍ଵର  
ମୂ.

კოლმა ხშაც არ გამცა. კეცი გადმოელო ცეცხლიდან, მციდს აცხობდა და დაფხრეწილ გაყვითლებულ ტყავის ბოლოს აწყვეტავდა აქეთ-იქით. რამდენიმე ბედის კვერიც გამოეცხო. მე სიცივისაგან დაკრუნჩხული ხელ-ფეხს ვითბობდი, და ცეცხლს ვეხუხებოდი, ხოლო გუდა მოვიხიადე და კერის თავში შივაყუდე.

— ეგ კარგია კიდევ, რომ სიხლი მოგევონდა, წირმოს-  
თქვეა ჩემი დედაკაცმა უკმაყოფილო ხმითა.

— მაშ შინ ჯდომით რა მოგვათ, თქვე საწყლებო? ძალიან კარგი, ვიჯდები მეც შინა და ვნახოთ, რა მოგვათ შზა-შზარეულად? ცოლში ხმა აღარ გამუა, და ნერქს მიუბრუნდა: „რა პირი დავილია, მოიტა ისტაში მომაწოდე!“

ნენემ,— ასტამს რკინისას, ვინ მოგვაშევებდა, — ხის ნაჩიბი მიაწოდა. დედაკაცის გამოსაჯავრებლად, რადა დამემ-ტკაცებინა, რომ ტყუილიდ არ ვეხეტიალებოდი, როცა მცი-დთან ერთად ბედისკერებს ცხელი ნაცარი მიაყარა, ვუთ-ხარ— მოიტა ჯამი და ხონჩა, — და თანაც ხელი გუდას გადა-ვაწოდე. საწყლები, ჩემი ბალლები, კატის კნუტებივით თვალ-წირბში შემომხერებოდენ. აააა, ბალლები, ბალლები! საწყალი კიცისა, თორემ მდიდრებისა არ ვიცი რა იქნებიან?! დედ-ვაძია იმათი ლმერთია.

— ჩქარა, ჩქარა ხონჩალა ჯაში, ხომ გოგონე, აღაშიანო!!

ეგ ჯამი და ხონჩა რაღ-ლა გინდა? — შეითხა დედა-კაცმა  
და ცოტა არ იყო შუბლი გაიხსნა.

— შენ რასა ჰყითხულობ, რადაც მინდა? ვუპასუხე მე.  
გაიგებ რადაც მინდა.

ცოლში მალე ასრულა ჩემი თხოვნა და მეც დაუყოვა-  
ნებლივ მივითრი ახლო დიდი, ხბოს გუდა, საღაც მედგა  
მოზდილი ხის ტაგანი თაფლით ხავსე. ტყეში სახვეწი ხეების  
ძებნის დროს ერთი ძირი ფუტკარი ვიპოვნე და თაფლი იმას  
გამოვაყალე.

ხოლო ტაგნის ძირში ირმის მწვადი იდვა, --ესეც ტყე-  
შივე ნადირობით შეძენილი. ხის ჯამში დაფუსხი ბალდებს  
თაფლი, აფუვსე პირამდე:—დაძელით, შვილებო, დაძელით,  
დამიბერდით ასე ტკბილად, ჩემხე კარგი მეკვლე ვერ მოგი-  
ვათ! მაგრამ არ იჩეუბოთ-კი, თორე გამაჯივრებთ.

ჩემ დედაკაცს ევს ძლივს გუნება გაუნათლდა.

— რა არი, მაგოდენას რო უსხამ, ხვალ აღარ გვინდა?  
წელიწადი დილა ხვალა თენდებო. წარმოსთქვა მან.

— კამეთ, შვილებო, ხვალის საქმიოც არის.—მოიტა  
ჯამი შენც დაგაბერო.

მე არ მინდა, უარობდა ჩემი დედაკაცი და მხოლოდ,  
სწორედ, შეაღავე იყო გადასული, მაშინდა დამელაპარაკა.  
რა სწყინდა, არ ვიცი, საცოდავს, იმის მეტი, რომ დავივია-  
ნე? ერთად ერთი დანაშაული ჩემი ეს იყო. მაგრამ რაყი უძ-  
ლენოდ არ მოვედი და იმასთან ერთად იმ ღამეს ძროხამაც  
მოგვიგო კარგი, თამამი სახიორე ბორილი, გუნება გამოიცვა-  
ლი. ჩარექით არაყიც-კი მომიტანი. სამი ყანწი ზედი-ზედ  
დავლიე, შევავედრე ღმერთს საწყალი ჩემი თავი, ჩემი ბე-  
ჩავი ცოლშვილი,—შევთხოვე ღმერთს, რომ დამდევი, მომა-  
ვალი წელი ვაინც ბედნიერი ქმნილიყო ჩენთვის. ბედნიე-  
რად ვგრძნობდი ჩემს თავს: თუმცა ჩამოგლეჯილ-ჩამოწეწილი  
ცოლშვილი დამიხვდა, მაგრამ მაღლობა ღმერთს, ხომ ცო-  
ცხლები არიან, ვამბობდი.

მოვძებნე ჩემი კვარტლიანი ფანდური, გავაბ-გამოვაბი  
მისი დაწყვეტილი ლარები და დაუუკარ. დავლილინებდი ნე-

ლი ხმით როცა ჩემმა დედა-კაცმა, ძონძებში, ჩვრებში გა-  
ხვეული ხბო შემოიყვანა და დააწეინა კერაზე ცეცხლურპუ-  
რას, ჯერ ისევ ლოპრიანი, ყურებს დუნედ აქვეტდა, მაგ-  
რამ არ ისევენებდა ქრის აღვილას, მალ-მალე წიმოდგებოდა  
ზეზე, ტანის ზლაყუნით, მუხლები ედრიკებოდა, ეხლართე-  
ბოდა. „მუჟუ!“ დაიყვირა. დედას კითხულობდა. ჩემი ბალ-  
ლები მაშინვე ფეხზედ დადგნენ. „დედავ, ფუჩინა, კაჭგი ფუ-  
ჩინა!“ იძახდა ჩემი შალვა. ეხვეოდნენ ორივენი ნენე და  
შალვა. ერთი იქითა ყბაში, მეორე აქედან პერცნილნენ  
უალერსებდნენ, ხოლო ჩვენ ორივე ცოლი და ქმარი ვჯავ-  
რობდით, ვუშლიდით—გვეშინოდა, თითქოს ატკენდნენ და  
ავნებდნენ რასმე ხბოსა. საცოდავებს იმის ნებაც კი არ მი-  
ვეცით, გული მოეჯტებინათ ხბოს ალერისით. ასეთია ხილა-  
რიბე. ნეტავთუ ვინც მდიდარია და ბევრი საქონელი ჰყავს,  
იმათი ბალლებიც ასე შეპხარიან ხბორებს? არა მგონია. ჩე-  
მი პატარებიც კი გრძნობდნენ თავიანთ საწყლობას, სიყა-  
რული ხბოსაღმი იმის გამო უათასდებოდათ და გამოუთქმელ  
სიხარულში იხატებოდა.

დილით აღრიან მე სახის კლე ხორცი დაკავე, ჩემი  
ევამ თათლ-წრბო მოაშაა მექლისოფვის...

ჯერ ისევ დილი იყო, რომ სახლის კარებზე ჯახანი რა-  
ლაშაც მოიღო. ეს იმის მოსწავლიდა, გარედან ვიღეცა — გვი-  
ძოხდა-დახდება თხალ წელიწადს კარგი აზ არის,— მეკულის  
მოსკვლის ნიშანი იყო.

გავალე კარები, დავინახე მექვლე, ჩემივე შეზობელი რა-  
მაზი, თავზე ჩამოფხატულ ბანჯვლლიან ქულით, დურა ტყავ-  
ში გახვავდლი.

„ମନୋରୂପ କ୍ଷେତ୍ରରେ, ଏହା ସାଧ ଏହି?“ ଏହିଲେ ମେଟୁଳେ ଏହାକ୍ଷେତ୍ରରେ  
ଅଥବା ଦେଶରେ ଯେଉଁଠିରେ ଏହାକ୍ଷେତ୍ରରେ ଏହାକ୍ଷେତ୍ରରେ ଏହାକ୍ଷେତ୍ରରେ  
ଅଥବା ଦେଶରେ ଯେଉଁଠିରେ ଏହାକ୍ଷେତ୍ରରେ ଏହାକ୍ଷେତ୍ରରେ ଏହାକ୍ଷେତ୍ରରେ

თავისი წესი, კვერი სამჯერ შემოაგორა. დაილოცა ომერთი, რომ სამჯერვე წალმა შემოტრიალდა! ეს კარგი ნიშანი რეალური გადამოწყვეტილების მიზანისათვის და მისი მიზანისათვის და მისი მიზანისათვის და მისი მიზანისათვის.

შემოვიდა სახლში და წარმოსონება: „შემოვდგი ფეხი, გწყალობდესთ ღმერთი, ფეხი ჩემი, კვალი ანგელოზისათ.“ ამოიღო ვაშლის ნაკრები და ყველა სათითაოდ დაგვაბერა, თანაც ამ სიტუაციას ატანდა: „დიდი გიმატებია, დიდი გიმატოს ღმერთმა,— ახალმა წელმა ახლის წლის გამოცვლამთა.“

— ეგრევ შენ შენიანადა,— ვუპასუხებდით ჩვენს ძვირფას მეკვლეს მე და ჩემი დედაკაცი; ჩემს ბალლებს რა ბოდი-შის ვადახდა შეძლოთ. ისინი „ფუჩინას“ შესჩერებოდნენ, შესკიპიკებდნენ, შეპაროდნენ. მეც ჩემი მეკვლე თაფლერბოთი დავაბერე.

ქვაბში უკვე ხინ კალი იხარშებოდა.

მეკვლე ტახტზე დავსვი, წინ სუფრა დაუუდგი, თაფლერბოიანი ჯამი, მასთან ერთად ხმიადი და დამბალი ხაჭო. იქვე, სუფრის გვერდზე იდგა არაყიანი ჩარექა, პირში დაფარული ჰქონდა ყანწი, მისი განუყრელი ძმა და მეგობარი.

სიმღერაც გავამით. ჩვენს ხმაურობაზე „ფუჩინაც“ ხამუშ-ხამუშად წამოიყვირებდა— „მუუო.“ ჩემი ბალლები სულ იმას შესცეკროდნენ თვალ-წარბში, სმა-ჭამა დაავიტყდათ და, როცა ხბო დაიყვირებდა, უზომოდ გახარებულები კისკისებდნენ, იცინოდნენ. დედაც გომურიდან უყვიროდა, შველს კითხულობდა, იმათვისაც ახალი წელი იყო. მერმე მეზობლებს მივულოცეთ მე და ჩემთა მეკვლემ, სოფელში ჩავედით.


ეს ახალი წელი ჩემთვის სხვატრივ, სხვა მხრივ არის ლის სახსოვარი. როცა ჩემის ბალლების სიხარული ვნახე, იმათი კიერინა გავიგონე ერთის ხბოს გამო, რომელიც შამოეგარა ჩვენს ბეჩავს ოჯახს, მე თვალებიდან ცრემლი გადმომცეიდა, გულშიმტკიცედ ვადავსწყვიტე: უნდა რაც აქამდის ვიყავ, ერთი ითასად ვიქცე, რომ საწყალი ჩემი ცოლ-შველი ჩართლაც ნიმდვილი ცხოვრების ლირსი გავხა-

დო, და მართლაც ასე მოვიქეცი. შრომის მოვუმიტე, ნაშო-  
ვარიც დავზოგე, დუქანს აღარ მივეკარე. პირადი მიზანი

და დღეს, დაილოცოს ღმერთი, ჩემთვის ყველაფერი სა-  
კმია მაქვს, ფულიც, პურიც და საქონელიც, ჩემი ცოლ-  
შვილი სხვის აღარ შემნიტრის. მადლობელი ვარ იმ ახალი-  
წლისა, ღმერთმა შენც ნუ მოგაკლოს გონებისა და გრძნო-  
ბის გამხსნელი!.. ასე დაამსიკრა ბეჭანმა თავის პატარა მოთ-  
ხრობა.


ვაჟა ფშაველა





## କବିତା ଚାଲି

### ମନୋଧାରୀ ଉପରେ!



ବୋଲି ଫିଲିଲି ବୋଲାମିଲି ନୁହ. ମାର୍ଗଟୁଳି ମାର୍ଗଟୁଳି ମତାଳ  
ଶେଖିନ୍ଦ୍ରିଯାଲି ମେଣିଲିକେଇଲାଏ ଶାକାରା ଅଥ ବୋଲା-  
ମାଳି କୁଳାଙ୍ଗିନଦେଖିଲାଏ ଅଭିରାମାଳ ଦିନଦେଖି-  
ଦେଖି ଗାନ୍ଧେବ୍ରାମ ଲାଏ ଅନ୍ଧନାମ ହିନ୍ଦୁଦେଖିଲାଏ ପ୍ରେପ-  
କେଲାଳି କିମାଳି ଲାବାଙ୍ଗିନଦେଖିଲାଏ ମନିଦଲ୍ଲିନିଦା.  
ମୁଦ୍ରାମ ମାର୍ଗଟୁଳ ମୁଖେସ, ଦେବରଜ୍ଞେଲ ଅଭିମାନିତାନ  
ଲାକାରିଯୁପ କି ଏହ ଶ୍ଵେତଶ୍ଵେଦମର୍ଦା, କିମି ଗାମିପ ପ୍ରେ-  
ଲା ତାଙ୍ଗିଲି ଗୁର୍ବନଦିବି—କ୍ରେତାଲ୍ଲି ତୁ ଶାରୀରକ୍ତି, ଶିଶାରୂପିଲି ତୁ  
ଶିଶିଆର୍ଜେ—ମୁଦ୍ରାମ ଦୁର୍ମିଳତି କ୍ରୁଣାଗ୍ରଦା, ମାଗରମ ମିଳିମେସ କି ଗୁଲି  
ଶେମନ୍ତିଲାଲିଲ ମିଥାର୍ଜ ଶ୍ରେଷ୍ଠାଳ ନେଣି ଲିଲିନିତାପ ପ୍ରେ ନିନ୍ଦେଖି-  
ଦା, ଲା ଗୁଲ ଲାଲିନିଲ ମନ୍ଦେବ୍ରାପିଲି ତାଙ୍ଗାଲ୍ପିଲ ଲାକାରିନିନିଦା  
ପ୍ରେ, କିମିନ୍ଦି ମି ଶ୍ରେଷ୍ଠାଳ ମିଲାତିଲି ତାତକ୍ଷଣିଲି ବୋଲାମିଲି  
ନୁହ, କାନ୍ଦଗାନାପ ମିଲି ପଥାଙ୍ଗର୍ଜେଦାଶି ଏହିର ପାପ ନେଲିନିଦାଶି ମେତ୍ରି  
ନୁହ ଏହାଗିତାରି ପ୍ରେମିଲାଗଦା ଏହ ମନିଦଲ୍ଲାରିନୁହ, ମାଗରମ ଶାକ-  
ଜ୍ଞେର କି ଗୁଲି ଲାକାରିନିଲାଏ ଶେମନ୍ତିକ୍ରୁଣିଲାଏ, ତାତକ୍ଷଣିଲି କିଲା-  
କିଲ ଲାକାରିଗାଲି ଗୁର୍ବନଦିଲା ଲା ଗାମିଲାଏ କିମାନିଜ୍ଞେଦଲା.  
ନିର୍ବିଶ ଲାକାରିନିଲି ଗୁଲ-ଫାଲମା ଶାକାରା ଲା ତାଙ୍ଗିଲାଏ ଗୁଲାଳି ପ୍ରେମି  
ନିକ୍ଷେପିକାରିଦେଖିଲାଏ, ତାତକ୍ଷଣିଲି ବ୍ୟାପିଲାଏ କାହିଁନିଜ୍ଞେଦା, ଗାହିଗାନିନା ମିଳି ଶି-

ლრმე რას მოუთხრობდა. შეა ღამისას გვერდებ ნატკენმა ზეზე წამოიწია, მარდად ცეცხლი დააგუზუზა, ლუპილის ქუთანი მისდგა და გულის გასართობად ურმის ძველ სოლებს წალდით ფორტნა დაუწყო. როდესაც ცეცხლმა ნალელიანდ გუგუნი მორთო, ფიქრით გართულმა ზაქარამ უეცრად წალდს თვით ანება, სინათს ხელი წამოივლო და აჩქარებული ნაბიჯით კარს მიაშურა.

ის იყო ახალ-წელის რიგჩაეს ძველი წლის ბნელი კიდევ უნდა უკუექცია — შებრძოლებოდა, როდესაც შორს, სოფელში მამალმაც მხნედ მხარი მისცა და თვისი გულადი ყივილით დამდევ ახალ-წელს სალაში უძღვნა და მიულოცა. ცაზედ ვარს კულავებიც ამ დროს თითქოს სიხარულით, ეშვა კურად თვლებს ბეუტავდნენ და ნათელსა ჰფენდნენ — დაპჭათვათებდნენ, სევდით მოცულ ზაქარის წისქვილს, რომელიც ამ წამს მოლად გაყინული, ობოლ-ოხერი, სოფლის განაპირის ისე იყო წამოსკუპული, თითქოს წარსულ დროს უკან უნდა გამოსიდგომოდა; მომავლისა კი ისე შეშინებოდა, რომ მოლად დაფუშული ერთ მხარეზედ საცოდავად მიღრებილიყო და სამუდამოდ განადგურებასლა ელოდა. თოვლისაგან დამბიმებული ძველი წალამი აქვთ იქით ისე ეფანტებოდა, რომ თმა-გაწეწილს, კერიდგან შეშლის უნებურად მოგავონებდათ. ზაქარამ მდუმარ მიდამოს ჯერ მწეხარებით თვალი მოავლო, მერე თავის წისქვილს სანათით ხელში გვერდს იმოუდგა და, თითქოს აღსარებას ვისმეს ეუბნებოდა, მკაფიოდ წამოიძახა:

— ჩემო წისქვილო! აგერ თუ წელიწალზედ შეტია, რაც საწყალ მთის ხალხს მე და შენ ერთგულად ვემსახურებით, მაგრამ ე გული კი ისე მწარედ შემომკენესის, ასე მგონია, ტუკილად ვიყავ, ე ქვეყანაზედ განენილი. ეჭეი, ჩემო წისქვილო, ვინ იცის რამდენი მისითანა მწარე სევდა და ვარამი შენმა ლრიტინმა დამიუქვა და მომანელებინა, მაგრამ ეხლა კი შენც ჩემსავით სამარისკენ პირი მიგაქვს, იფუშები, ჩემო მხსნელო და მეგობარო... მაგრამ... ე ახალი წელი მოწამე

იყოს, რომ მოხუცი ზაქარიას მარჯვენა კიდევ შესძლებს, რომ გაგამამოს და ვაგალამაზოს. დედე ჩემდევ სხვამაც არჩევა სიეით გულის ნიღველი შენით მოიკლის და მოინელოს... ეჭი, დედასა! ე ჩენი წუთი სოფელი ცარიელი შრომა ყოფილა, თორემ ე უმწეო ბებრის გული და გონება სამარის პირის მოუსევნრად რადა ფათურობს? რა ჩაჰუება, გამოფიტულს, ზევ სამარეში?—ჩაეკრთხა გულ დაწყვეტილი ზაქარა თავის თავს და სულ განაბულ მიღამოს ისეთ ნიტოდ შეხედა, თითქოს პასუხს მირტო მყოფი მხოლოდ მისგანდა მოელოდა. შემდევ სანათი მალო ასწიო, წისქვილის ერთი მხარი და შორს მრდამო უფრო კარგიდ შეანათა და თან ჩუმად განაგრძო:

— ვენაცვალე ტკბილ შრომას, ვენაცვალე მის მომგონს! შრომის შვილი ვარ და კიდევაც მსოლოდ ის მიყვარს. ან კი უიმისოდ, ვინ იყის, რა იქნებოდა ჩვენი წუთი-სოფელი, ვინ იყის მაშინ ჯავრით საესე ადამიანი რამზენჯერ ჭკუაზედ შეიშლებოდა?.. ეჭ, ნეტავი იმას, ვისაც შრომისათვის ჯერ კიდევ დიდი დღე და ჯანი შესწევს; ნეტავი იმას, ვინც ჯერ კიდევ შრომით გულს მოიჯერიებს.. მაგრამ... არა უშავსრა, ე ჩემ მოკლე ხანს მაინც იმას შევალევ, მას ვანაცვალებ.


ზაქარია ჩაფიქრდა შემდევ ერთი ლრმად ამოიოხრა და თავისთვის ასე განაგრძო:


— ამბობენ, ქვეყანაზედ ბედი არისო... ბედი კი არა ჯანდაბაა. ბედი ადამიანისთვის სწორედ ისა ყოფილა, რასაც თავისთვის თითონ მოინდომებს და გულიანად ხელს მიჰყოფს; თორემ განა მართლა ბედი იქნება, რომ ვიცოდე ცეცხლი დამწვამს მეთქი და მაინც ბრძა ბატივით ნიღვერდალში კისერი წავყო? ობრად დარჩეს, მეც აქამდინ ი ბედი ისე მჯეროდა, რომ ე ჩემ საცოდავ დაფუტულ წისქვილს გვერდიდგან არ მოეშორებივარ, ასე მეგონა ჩემი ბედი აქ დაიბადება და ოქროს ჯილის დამადგამს მეთქი და... ვამეპირა წუთი სოფელი... ეჭ, ახალო წელი ნეტავი შეიძლებოდეს ერთი ითი წლით მაინც უკან დავიხიო, და, მაშინ ნახავ შენ... ნეტავი...

მაგრამ ამ ნეტავი, როდესაც სწორედ ე ტიალმა, ცარისელმა ნეტავიმ დალუპა ჩემი წუთი-სოფელი და აბა, ჩქარი, ზაქარია, ჩქარა, ეცადე ე ორიოდ დლემიც ტყუილ-უბრალოდ არ ჩი-იაროს, არ გაგებაროს წინანდებულად...—წარმოსთქვა ხმა მაღლა ზაქარამ და ამ წამს რაღაცა გრძნობით და იმედით ხელ ახლად გაცოცხლებულმა იქვე მაღალ ბორცვს მიაშურა.

— მაშ ეს ბებერი მარჯვენა გამიტიალდეს, პატარა ბორ-ცვი, თუ ამ გაზაფხულზედ, ჩემ წისქვილთან ერთად, პატარ-ძალივით არ გაგალამიზო, დამაცა შენა! თორემ აი, ახალი წელი მოწამე იყოს! — შესძიხა კიდევ ზაქარამ, იქაურობა ახლა კი ტებილი ლიმილით და სიყვარულით მოზომა და სრულიად გამშნევებულმა სიხარულით ქოხს მიაშურა, სადაც ამ დროს ცეცხლიც, თითქოს განგებ, ისე გუბგუბზებდა, რომ მის გვერ-დით გულამონაუყებული შევი ქოთანი დუღილით თავს იკლივ-და და თან მეტი გრძნობით აქეთ-იქით იწინწელებოდა.

ცქითი





## საახალწლო გეთვლილი

(ფრანგული კორე და ეითა შეიტა)

ედილო, მენი კირგად ვარ,  
ცოტა ოქვენი მაქვს დარდები,  
ვეძლევი საგონებელსა  
და გულის ხმაში ვვარდები.

მაგონდებიან და-ძმანი,  
მავარდენიეით მარდები,  
მეზობლის გოგო-ბიქები,  
ჩემი ტოლნი და ფარდები.

კვლავ სახალწლოდ ჩურჩხელა,  
გულით რომ მომნატრებია,  
წელს, ვფიცავ ძვირფას დედასა,  
სულაც არ გამსენებია.

აქ ვისთანაც ვარ ბიქადა,  
პურიც ბევრია, ხილიცა,  
თავს საყრელი მაქვს საჭმელად  
ძელიანიც და რბილიცა.

ମାଘରାତି ପ୍ରସ୍ତରରେ ଏହି ଶ୍ରୀମତୀଙ୍କଳିର  
ବିଜ୍ଞାନରେ ଲାଗି ଅରାଧୀରାଗ,  
ଯାହାର ମହା-କୁମା—ଦାଶୁରାଗି  
ଗୁଣର ପ୍ରେର ଶ୍ରୀରାଜରାଗ.

ଲାଗି ମିନାତ୍ରିରାଗ, ଅଳାଖ ମୁଖରେ  
କୁନ୍ତରୀ ତେଜିଷ୍ଠି, ଫିନିଦ୍ରେବି:  
ନେତ୍ରାଵ ମାମ୍ପାନ୍ତିର ସ୍ଵରାଲାଶି  
ମିମିଦ୍ରେବେଦନରେ ଫିନ ଦ୍ରେବି.

ତୁମନ ଏହି ମାନିକ୍ଷାର୍ଥେଦ୍ଵେ,  
ପ୍ରସ୍ତରକାନ୍ତରେ—ଦାମିପ୍ରାଦ୍ୱେତା,  
ଶାଖିରେ କିରାତିକିରି ଲାଗିଲା,  
ଶିଂହାଲାଶି ଗାମିମପ୍ରାଦ୍ୱେତା!..


ତା ମିଶିନ ମନୋଦେଶ ଗୁଣ-କୁମା  
ବିନାପ ଗାନ୍ଧାରାରିତ ମେନାମ!  
ତାହା ଦାଗବାଦରିତ ଶେଷିକିରି  
ଗିର୍ଜାକ୍ଷାକ୍ଷେତ୍ରର ଗନ୍ଧାମ!...

ଦ୍ରେବି ପୁରୀ ଏହି-ଜି ଉଦ୍‌ଦେବତାରେ,  
ଶ୍ରୀଶ୍ରୀ ଏହି ଦେବେଦନରେ,  
ଶ୍ରୀରାଜି ମେନିବାଲାଶ ଶ୍ରୀରାଜିପ  
ଶିଂହାଲାଶ ଏହି ଦେବତାରେ...

ଦେବତାଙ୍କ ଏହି ଏହି ଏହି  
ଶ୍ରୀମି ନାତ୍ରୀରା ଏହି ଶ୍ରୀରାଜିଲା  
ନେତ୍ରାଵ ମାନିକ୍ଷାର ମନମ୍ଭେଜିଲା,  
ଶିଂହାଲାଶ ଏହି ଏହି ଶ୍ରୀରାଜିଲା!..

ଶ. ମନ୍ଦିରମେଲା.





## ა კ ა კ ი ს

50 წლის მოღვაწეობის დღესასწაული



კაკი წერეთლის დღე 1908 წლის 7  
ქრისტეშობისთვე, ყოველი ქართ-  
ველის გულში სინახისოვნოდ დაზ-  
ჩები. როგორც წინა წერილში  
ვსწერდით, საქართველოს ყოველი  
კუთხე ემზადებოდა ჩეენი მოღვა-  
წის, იკაკის 50 წლის დღესასწაუ-  
ლისათვის; ყველანი მოუთხენლად  
ელოდნენ დანიშნულ დღის მოახ-  
ლოვების და საერთო სიმოვნე-  
ბას. და მართლაც, შესანიშნავი და დიდებული გამოვიდა ეს  
დღესასწაულობი.

ამ დღესასწაულის გამართვა იყისრა ჩეენშა წერა-კითხვის  
გამავრცელებელმა საზოგადოებამ. ინჩია რამოდენიმე კაცი,  
მიანდო მათ ამ საქმის გაძლოლი და გამოაცხადა საყოველ-  
თაოდ ამ დღესასწაულის გეგმა. როგორც-კი გავრცელდა ეს  
ხმა, ყველგან ქალაქებში, დაბებში და სოფლებში მოხდა კრე-  
ბები, ყველგან შეიმუშავეს გეგმა, როგორ უნდა გადაეხა-  
დათ ეს დღესასწაული. მასთანავე ყველგან ინჩიებს რამოდე-

ნიმე პირები თბილისში გამოსავზავნად და მოსალოცად. საქართველოს ყოველ კუთხეში დიდი მზადება შეჩერდა. ერთი კვირის წინად რომ გაგველოთ წერა-კითხვის გამადერცელებელ საზოგადოების სადგომთან, (რომელიც იმყოფება ქართველ თავიდ-აზნაურთი ქარესლაში), დიდი სამზადისი და მოძრაობა ეტყობოდა ყველაფერს. იწერებოდა სხვადა-სხვა მისალოცი ბარათები, იბეჭდებოდა ათასობით და ათი-ათასობით ხალხში დასარიცხებელი პატარა წიგნიკები, აკაკის ცხოვრების აღწერით და ლექსებით, იყიდებოდა სადლესასწაულო წარმოდგენის ბილეთები, აკაკის ახალი სურათები. ერთის სიტყვით, ვინ-ც-კი იმ ადგილს გაივლიდა, ყველა შეატყობდა რომ, რაღაც არა ჩვეულებრივი შხიარულებისათვის ემზადებოდა თვითოვეული ქართველი.

დღესასწაულის წინა დღეს დაიბარეს წარმომადგენელნი, ვისაც უნდა მიყლოცნა აკაკისათვის.

სხვა-და-სხვა კუთხისა და საზოგადოებათა და დაწესებულებათა წარმომადგენელნი, ინუ ეგრედ წოდებული დეპუტატი იყები. თითქმის ორასამდე იყვნენ ჩიწერილნი სადლესასწაულო მილოცვისათვის და ზოგში რამდენიმე კაცი იღებდა მონაწილეობას. ამათ ურიცებდნენ ბილეთებს სცენაზედ დასაწრებლად. თუმცა ბევრი გამოაკლეს, მაინც მათი რიცხვი თოხასს ადაშიანზედ მეტი იყო.

მეორე დღეს, კვირას, 7 ქრისტეშობისთვეს ყველა გაზეთები სულ სავსე იყო მხოლოდ აკაკის შესახებ დაწერილი წერილებით და მოგონებით.

ამინდი კარგი იყო. დღის ათ საათზედ აკაკის ბინაზედ შეგროვდნენ მისი ახლომცელნი და პატივსმცემელნი, მიულოცეს დღესასწაული და წამოიყვანეს სიონის ტაძარში. გზაზედ დიდიძალი ხალხი სიხარულით ევგბებოდა, აღტაცებით სალაში აძლევდა. სიონის ტაძარში დიდ-ძალი ხალხი იყო შეგროვილი. პარაკლისის დასრულების შემდეგ ეპისკოპოსმა დავითმა და დეკანოზმა ტ. სიტყვა უთხრეს და დღესასწაული მიულოცეს.

12 საათზედ სოონის ტაძრიდგან გამომართნენ ყველანი დარღი თეატრისაკენ. გამოსვლისას ხალხი გაშის ძახილით ეგება მავის საყვარელ მგოსანს.

თეატრითან ქარის ორივე მხარეს დიდალი ხალხი იყო თავმოყრილი. თეატრის წინ ორ პირად ჩამწერივებულიყვნენ თბილისის ამქრები საკუთარის დროშებით და ზურნით. მიუახლოვდა თუ არა ამ შენობის აკაკის ეტლი, ხალხი აღტაცებით და „ვაშას“ ძახილით შეეგება საყვარელ მგოსანს. ამ დროს თითონ თეატრის დარბაზი მთლიად გაჭიდილ იყო ხალხით. სკენაც და ხალხის დასაჯდომი ადგილიც ვეღარ იტვედა მსურველებს. მეტად ბევრი დარბაზ გარედ, გულდაწყვეტილი და უადგილობის გამო ვეღარ იღებდა მონაწილეობას ამ სიშეიათო დღესასწაულში.

ნაშენადლევის პირველ საათზედ ფარდა ახადა. მარცხნივ ცოტა ამაღლებულ ადგილს საფარმელი იდგა, რომლის გარშემო ჩამწერივებულიყვნენ მწერლობისა და ხელოვნების წარმოშადგენელნი, მგალობელთა გუნდი და მრავალი დეპუტატი ტები. ყველანი სულგანაბულნი ელოდნენ აკაკის გამოსვლის. გამოჩნდა მგოსანი თუ არა, ამოდენა ხალხი ფეხზედ წამოდგა, გაისმა საერთო „ვაშა“ და აკაკის გაუმარჯოს“ ძახილი, რომელიც დიდხანს არ შეწყვეტილია. ჩვენში მგალობელმა გუნდმა და ორკესტრმა ერთად იმღერეს და დაუკრეს „მრავალ-ეამიერ“, რომელიც საგინგებოდ ამ დღესასწაულისთვის იყო დაწერილი.

შემდეგ სიუბილეო კოშიტეტის წევრმა ბ-შა იაკობ გოგება შეიღმა გახსნა დღესასწაული. ქართველი ერის სახელით მიულოცა აკაკის ეს დიდებული დღე, აღნიშნა მისი ღვაწლი და სამსახური ჩვენი ხალხისა და სამშობლო მწერლობისათვის და უსურვა ხანგრძლივი სიცოცხლე, კიდევ გაიმეორეს „მრავალ ეამიერ“.

შემდეგ დაიწყეს მილოცვა. მიულოცეს: წერა-კითხვის საზოგადოებამ, თბილისისა და ქუთაისის თავიდ-აზნაურობამ,

სოფ. სავანიდგან მოსულმა დეპუტაციაშ. სწორედ იქ სოფ-  
ლიდან, სადაც აკაკი ბირკელი ბავშვბის ხინა გვიტაროს, უკუ-  
კის ძრძის შეიღლმა, მოხუცებულმა ქალმა სადუნაშვილისმ  
მიართვა ხის აკანი, რომელშიაც თურმე აკაკი იწვა პატა-  
რობდისას.

“შემდეგ მიულოცეს სოფ. საჩქრიდგან და მის ახლო მახლო სოფლებიდგან ჩამოსულმა დეპუტატებმა, რომელთა რიცხვიც ორმოცდა შეტი იყო.

შემდეგ მიულოცეს დღესასწაული ჩვენმა ქართულმა სხვა-ლა-სხვა საზოგადოებამ: სისტორიო და საეთოებრივო საზოგადოებამ, ლრმდეცულმა საზოგადოებამ, სიტყვა-კაზმულმა საზოგადოებამ და ფილარმონიულმა საზოგადოებამ.

ჩეკინშა პოეტშა ვაჟა-ფშაველამ გრძნობიერის ლექსით  
მიულოცა აკაკის დღესასწაული, რასაც ხალხი დიდის აღტა-  
ცებით მიეღება.

დიდი აღტაცები გამოიწვია იგრეთვე „ნაკალული“-ს რე-დაქტარისაგან წარგზავნილმა დეპუტატის მიმდევარი. მა დეპუტატის მიმდევარი ხუთი პატარა ქართველი, სამი ვაჟი და ორი ქალი. ვა-კუნძული ეროვნულ ტანთხაცმელით იყვნენ: ერთს ეცა ქულაჯა, მეორეს ჩოხა, მესამეს გურული ტანისამოსი, სხვა-და-სხვა კუთხის ქართველობის მოსავონარიად. თვითოვულს შათგან ხე-ლაში ეჭირა დაფნის ფოთლებისაგან ლამაზად გაკეთებული ასოები: პირველს ბ, მეორეს კ, მესამეს ა, მეოთხეს ქ, და მეხუთეს ი. ყველა ეს ასო აბრეშუმის სარტყელით იყო ერთი მეორეზედ გადამბული, რომელზედაც მისაღლოცი წარწერი იყო დაბრედილი. პატარა დეპუტატები მწყობრად წარუდგნენ ბევრის და მიულოცეს დღესასწაული. იმისთანავე „ნაკალუ-ლი“-ს სახელით მისაღლოცი აღრეხის წაიკითხა ქ-ნმა ნ. ნაკა-შიძისამ. ყველა დამსწრე საზოგადოებას მეტად მოეწონათ ეს სურათი და ხანგრძლივი ტაშის-ცემა გაისმა. თვითონ აკა-კისაც მეტად იამა ბაგშვების მისელა და შემდეგი მოკლე დარიგებით მიმართა მათ:

## ნეშო პატარა მეტობრებთ!

სხვათა შორის კრთა დადა ხაკლიარა მაქვს: შესიქის ასაკის მიზან  
გებარა, მხოდონდა-კა კვრმნობ, ამ ნაკლს კოველთვის მავსებდა ასაც  
თაობის ტაქტიკა. ა ახლაც თქვენი სიტევა მუსიქას ვით მწვდება  
გულის სიღრმეშის და დადს მადლობასაც გრირავთ. კოშთვთ, რომ  
არ დაივაწეოთ დღევანდები დღე, მიტომ კა არა, რომ ჩემის მიზე-  
ზით არას გამოწვეული, არა, უფრო სხვა მიზეზით; ა, სომ ხე-  
დავთ სალხში აღმრუდა ერთვნული გრძნობა და მას უნდა, რომ  
სკეპტიკეს ნამდვილი მოღვაწე და გმირი, და არა ჩემსავით მოჩვე-  
ნებული. და ეს გმირი, თქვენმა თაობაშ უნდა წარმოშობოს. ეს მხო-  
ლოდ მაშან შეიძლება, თუ შედამ ერთვნულ ნიაღაბზე გეღბუბებათ  
უჯის; ვინც თავის გვარ — ტომითას უარტეთის, ის ვეღარც სხვებს  
გამოადგება, უკარგისი იქნება შინაც და გარედაც. გაეცარდესთ  
თქვენი ქართველობა, მაგრამ შოვინისტურის გრძნობით კა არა,  
ესე იგი რომ სხვის დაკლებით რამე შესძინოთ თქვენს ერთონებას.  
არა! იმ სიეკარულით, რომელსაც სარჩედად უნდა ედესა ძმობის,  
ერთობის და სიეკარულის სურვილი. გადაეცით ეს თქვენს პატარა  
აშხანაცებს.

ხალხი აღტაცებით მიეცება იმ სიტყვის.

მოლოცვაში მონაწილეობის იღებდნენ შემდეგი ქალა-  
ქები: თბილისი, ქუთაისი, ბათომი, ბაქო, ფოთი, სოხუმი,  
ოზურგეთი, გორი, თელავი, სიღნალი, განჯა, გუმბრი, ახალ-  
ციხე და ახალქალაქი. ამ ქალაქების მცხოვრებლები, სხვა და  
სხვა საზოგადოებანი, სახწავლებლები, ვაჭრები და სხვა. აგ-  
რეთვე შემდეგი დაბებიც: ხაშური, სურამი, ბორჯომი, ყვირი-  
ლა, კიათურა, ბალდაცი, ხონი, სამტრედია, სენაკი, ლან-  
ჩხეუთი, ნიგოითი და სხ. გარდა იმისა მრავალი სოფელი და  
სხვა-და-სხვა კუთხე საქართველოსი: ჯავახეთი, შიდა და გარე-  
კახეთი, ქიზიყი, ქსნისა და არაგვის ხეობის მთიულები, სამ-  
ცხე-საათაბაგო, რაჭა-ლეჩხუმი, სეანეთი, იჭარა, ახალციხის  
ქართველი მაჭადიანები, აფხაზეთი და სხ. იყო აგრეთვე წარ-

მომადგენელი შორს გადახვეწილ ქართველებისაგანაც, რომელნიც სპარსეთში იყვნენ გადასახლებულნი — შექმნაზე დროს და ეხლაც ქართულს კარგიდ ლაპარაკობენ.

ქართველებს გარდა სერთო დღესასწაულში მონაწილეობა მიიღეს სხვა ერებმაც: სომხებმა, თაორებმა, სპარსელებმა, ჩუქუმიადგენელებმა, პოლონელებმა, მცირე რუსეთის წარმომადგენლებმა. ზოგიერთთავან რამდენიმე დეპუტაციაც კი იყო მოსული. ამათ სხვა და სხვა საზოგადოების წარმომადგენელთა პირით მიუძღვნეს პოეტს თავისი მილოცვა და საჩუქრებიც მიართვეს.

უურნალ-განეთების რედაქტორებისაგან თითქმის ყველამ მიიღეს მონაწილეობა ამ დღესასწაულში: „დროება“-მ, „ილმა“, „სიქართველო“-მ, „სავაჭრო გზა“-მ, „განათლება“-მ, „ჯეჯილმა“ და „მწყემსმა“; გარდა ამისა ბევრმა სომხურმა და რუსულმა განეთებმა და უურნალებმა.

გარდა ამისა მრავალი მოლოცვა იყო სხვა-და-სხვა შუშათა საზოგადოებისაგან, რკინის გზის მოხელეთაგან და სხვა-და-სხვა ხელოსნებისაგან.

ყველამ მიართვა პოეტს შშვენიერს ქალალდზედ დაწერილი ან დაბეჭდილი მილოცვა, ეგრედ წოდებული აღრესი; ბევრი მათგანი ძეირტას ყდაში იყო ჩიდებული და ლამაზის ზე-წარწერით დამშვენებული. გარდა ამისა პოეტს მრავალი სხვა-და-სხვანაირი საჩუქარი უძღვნეს, რომელთა შორის ძეირფასი რამეებიც არის და ბევრიც ლაშაზი ნიხელავია.

ყოველ მილოცვის შემდეგ ხალხი აღტაცებით ტაშს უკრავდა და პოეტიც ყველას მაღლობას უხდიდა. განსაკუთრებულის სიტყვით მიმართა პოეტმ „ნაკალული“-ს რედაქტიონგან გაგზავნილ დეპუტაციას გარდა, სომხებსა და თაორებს.

მილოცვა ორ ნახევრად იყო გაყოფილი პირველი ნახევარი დასრულდა ნაშეადლევის ხუთის ნახევარზედ. ხალხმა თეატრიდგან დიდის აღტაცებით გააცილა პოეტი. გარედ კიდევ დიდძალი ხალხი იყო და ელოდა მის გამოსვლას; ხე-

ლახლად აღტროვებით მიეცებნენ ყველანი და სახლისკენ  
გააცილეს.

სალამოს დღესასწაული დაიწყო რვა საათზედ. სალამო-  
სათვის განზრახული წარმოდგენა „თამარ-ცბიერი“ და „პა-  
ტარა კახი“ გადასცეს, და ისევ მილოცვას შეუდგნენ. შუა-  
ლამის 12 საათზედ ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული მი-  
ლოცვა. ორასიდგან დარჩა კიდევ თითქმის ორმოცდა ათი,  
რომელიც ვეღარ მოასწრეს.

გარდა ამისა მოვიდა ხუთასამდე დეპეშა, საქართველოს  
სხვა-და-სხვა კუთხიდგან, რუსეთიდგან და საზღვარ-გარეთი-  
დგანაც.

რუსეთისა და საზღვარ-გარედ მოსწავლე ქართველ სტუ-  
დენტებისაგან, რუსეთის ზოგიერთ გამოწენილ მწერალთა  
და მოლვიტეთიგან, ქართველების პატივისმცემელ უცხოელ-  
თაგან. ყველანი უცროთებდნენ თავის გრძნობას ამ დიდებულ  
დღესასწაულს.

ყველა ამ მილოცვის წაკითხვა მოუხერხებდელი იყო, დაა-  
სხელეს მხოლოდ ზოგიერთი.

შემდეგ შვოსანი იყავი წამოდგა მაღლობის გადასახდე-  
ლად.

მთლად თეატრში მყოფი საზოგადოებაც ზეზედ იდგა.

დიდებული იყო ეს წაში, როდესაც ამოდენა ხალხი,  
გრძნობიერის სიტყვებითა და აღტაცებულის ლექსებით დამ-  
ტებარი, მოუთვენლად ელოდა თავის საყვარელი პოეტის სა-  
ბოლოო სიტყვას. ხალხი სმენად გარდაიქცა. პოეტმა იქ დამ-  
სწრეთ მიმართა და უთხრა:

ბატონებო! ორმოცდა თავ წელიწადი ვებრძოდი უსამართლობას,  
განსაკუთრებით შინაურ უკუღმართობას. დარადად ვხეარობდი სიტ-  
უას და კაჭაშის, სადაც ძალას მცირეოდენ თავილთან ბეკრი ნა-  
დველაც იყო ჩემსავე ცრემლებში ჩაჯასიდა. აშნაირი საშზადისი  
ბეკრი, რასაკვარფებულა, მწარედ მოეჩენება. თუ ვანშე შეშტრის

თვალით გადასთეალიერებს იმ ნაწერებს და გათხენებს, გადაუსხვა-  
ფერებდა ჩემს სიტექებს,—იქ საბირადოს ვერას ნიშანს ვერო მო-  
თმი. მაგრამ თავმოუვარეთსა იქ ჭიედავს იმას, სადაც არ არის, და  
ადამიანი-კა საზოგადოდ, თავმოუვარეა. ასე თუ ისე, ამ ჩემმა ხე-  
ლობაში ბევრი სიმწარე გამომაცდევა და ვინ იცის, რამდენჯერ გა-  
მისკედებოდა გული, რომ აქა-იქ თანამგრძნობელიც არა მეოღოდა,  
— უშერესად ქალებში, მათის გულეკეთაღობით და ასაღვაზრდებში—  
მათის გულუბრევიღობით, რისთვისაც საჭაროდ ვწირავ მათ მაღ-  
ლობას. მე ჩემი თავი კოველთვის მიმართდა და მიმართა პატარა  
დღიურ მემად, ძალას მცირედ; ასე რომ, თუ ჩემს შრომის ვან-  
ე ურადებას მაჟცევდა, არ მეგონა. მაგრამ ეხდა ვსედავ, რომ  
შემცდარი ვეოფალვარ და დდეს ჩემი შრომა ერთი ათასი ფასიდე-  
ბა. რას უნდა მიყაწეროთ ეს? იმას, რომ საღსმი აღძრება ერთვ-  
ნები გრძნობა, რომ ჰეავდეს ნამდვილი მოღვაწე და გმირი, რისაც  
მე მხოდოდ მოჩენება ვარ. მათამ დაად გრძნობას შეკურთხა ჩემს  
ნატვრასაც, რომ მოედინებოდეთ ის სანატრელი გმირი, და მე კა—

თქვენ რომ გებონიფართ, ის არ ვარ,  
მნედი კოფალა ჭადარა.  
თაშამად გედარ გაჲეიფის  
ჩემა დაფი და ნაღარა.

გედი არ იშდის გულობას,  
მაგრამ ვერ მისდევს ძალითნე;  
ვარ ბევრი „ვას“ მნახველი  
და ბევრი „უას“ გამგონე.

აიგსო გედი წვეთ-წვეთად  
ნაღველითა და შეამითა,  
ისე, ვათ საუკუნენი  
სხვა და სხვა მრავალ წამითა.

და რაღად მინდა სიცოცხლე  
მე, აწერ-გამწარებულს,

თუ ვისაც ვეტროა, ვინც მიევარს,  
ვხედავ მას ათხრებულს?..

შაგრამ იმედი, ცის ნიში  
რომ გამიედვებს ბლას გუდის,  
თავი ტარიელ შეონია,  
ოცნებით გარემოცველს.

ვუხშობ ფრიდონს და ავთანდილს,  
შხარა მხარს შისცენ, სედი—ხელი;  
ნესტან-დარეჭან ქაჯებს ჰეავთ,  
მოედის ტურფა გამომსხნედს.

რა ვუეთ თეთრი იმა შეონდეს—  
სისხლით შევდებავ ჭადარას,  
და საპმირო ხმას გაძახებ  
ამ ჩემს დაუს და ნადარას!..

შაგრამ, ვამექ, რომ ეჭვი  
შოუბზავნა ჭოჭოხეთს,  
მაცდელ სარკეში მახედებს,  
ოცნებას მაწედავს, გუდს მიხეთქ.

აშბობს: ფრიდონ და ავთანდილ  
ჭერ ვერ გადახდის თმისათ,  
და შენც ტარიელს მოჰკავხარ  
ასე, ვით კატა დომისათ.

მართალი არის, შაგრამ რა,  
რაღ გავიტეხო იმედი,  
გმირსა წინ მიუძვის ეოგელთებს  
უძღური წინამორბედი!

არა, არ ვაქარგავ იმედს,  
ვერ შემაშინებს ჭადარა,

ଗମିନ୍ଦର୍କୁ  
ମୋହାରୀର ପାହେନ୍ଦରାନ୍ତି  
କେବି ଫାନ୍ଦା ଏବଂ ନାହାରାଇ..


ଶାରୀରିକର୍ମାଳା  
ଶାରୀରିକର୍ମାଳା

ଯେ ସିର୍ପ୍ପା ଏବଂ ଲ୍ଲେଜିସି ପ୍ରେସ୍‌ରିମ୍‌ ମେଟ୍‌ରାଫ୍ ଗର୍ଡନିଙ୍‌କ୍ଲାବ୍‌ରାଫ୍ ଥାର୍-  
ମୋଟକ୍ଷେତ୍ରା. ଏଥାର ମନ୍ତ୍ରପ୍ରକାଶ ଅନ୍ତର୍ମାର୍ଗରୁଲ୍‌ବ୍ୟେଲ୍‌ର ରୁମ୍‌ ଏବଂ „ପ୍ରାଚୀ-ସ“ ଦେ-  
ଖିଲାଇ. ବୋଲକ୍‌ର ଏଲଟାପ୍ରେକ୍‌ର ସାନ୍ତାର୍କାର୍କି ଏରା ଉପରିନାହା. ପ୍ରେସିଲା ମନ୍ତ୍ର-  
ବେଳମ୍‌ ଏବଂ ଆଫରିଟର୍‌ରେନ୍‌ ସାପ୍ରାର୍କ୍‌ରେଲ୍‌ ପ୍ରେସିଲା ସିର୍ପ୍‌ରୁପ୍‌ରେବିମା ଏବଂ ବୋ-  
ଲିପ୍‌ବ୍ୟେକ୍‌ଟ୍ରେନ୍‌ ଶିରାର୍କିଲାଇ ଲ୍ଲେଜିସିମା.

କ୍ରାଚିଶାର୍କୁଲ ଗାଇମାରିତା ଏକଟରେ କ୍ଷେତ୍ରରେ ଏହିଏ ତାରିଖିକ୍ ପ୍ରକାଶ-  
ତାରିଖିକ୍. ପ୍ରାଚୀବ୍ୟେଲ୍‌ ଶ୍ଵରାତିର ଥାର୍ମିନିମାର୍ଗର୍‌ବ୍ୟେକ୍‌ଟ୍ରେନ୍‌,  
ରନମ୍‌ପ୍ରେଲ୍‌ସାପ୍‌ ଗାଇଶପ୍ରକ୍ରିଯାରୁଲ୍‌କିନ୍‌ ତାମାର-ମେଟ୍‌, କ୍ରେଟ୍‌ର୍‌-ଫ୍ରେଡନ୍‌ଟା-  
ଲ୍‌ ଏବଂ ନିନ୍ଦା ଗାଇମାରିତାରୁଲ୍‌କିନ୍‌. ଶ୍ଵରାତିର ମାଲିଗାନ ଲୋମଦିଶାର ନ୍ୟୁନ  
ଏବଂ ମୁଲ୍‌କିନ୍‌. ଏହି ଶ୍ଵରାତିରି କୋଣାର୍କ ପ୍ରେସିଲା ଶାରୀରିକର୍ମାଳା ମେଲିତ  
ଏବଂ କ୍ରାଚିଶାର୍କୁଲ ଗର୍ଡନିଙ୍‌, ଏବଂ ମନ୍ତ୍ରବ୍ୟେକ୍‌ଟ୍ରେନ୍‌ ଏବଂ କ୍ରାଚିଶାର୍କୁଲରୁରୁଗ୍ରେନିଂ ଯେ ନିଶ୍ଚି-  
ତି ଏହି, ରନମ୍‌ପ୍ରେଲ୍‌ସାପ୍‌ ଶାରୀରିକର୍ମାଳା ଏବଂ କ୍ରାଚିଶାର୍କୁଲରୁରୁଗ୍ରେନିଂ ଫାରିଟର୍‌-  
ଲ୍‌ରି ଗୁରୁତି, ଫିନିପ୍-ର୍‌ ଏଥିଲା ଏବଂ ଏଥିଲା ଏବଂ ମନ୍ତ୍ରବ୍ୟେକ୍‌ଟ୍ରେନ୍‌ ନ୍ୟୁନ

ପାତା.





## სინათლეა და მისი მნიუზნელობა

(გაგრძელება).




ინათლის სხივი წარმოადგენს პირდაპირს ნათელ ხაზს. როდესაც მოწმენდილ კაზედ პირდაპირ უკუქერით მშეს, სხივები მრავალ გრძელნაციალე ხაზების სახით გვეცემიან თვალში; ასეთივე სურათი გვეხატება თვალშინ მაშინაც, როდესაც საშვალოდ გახელილ თვალით ფიქრდებით ანთებულ სანთელს ან ლამპას. ხომ გინახავთ ოთხში პირდაპირი ნათელი ზოლი, რომელიც დარაბის ან კედლის ნახვრეტიდან შემთაშუქებს ხოლმე,—ესეც სხივების ჯგუფია, ერთად თავშეყრილი.

ცხადია, რომ განათება ამ სხივებისაგან წარმომდინარებს, მაგრამ ხშირია ხომ და უფრო ხშირიც ისეთი შემთხვევები, როდესაც ჩვენ ვერ ვხედავთ ასეთ პირდაპირ სხივებს, და, მიუხედავად იმისა, ჩვენს გარშემო მანც სინათლეა. გაგალითად, გათენებისას, როდესაც მზე ჯერ კდევ არა ჩანს, ქვეყნიერების სინათლე სიკმაოდ ეფინება; ხშირად მზეს დღის სით მოვბო, ხეები და სახლები ეფარებიან და ჩვენამდის შის

პირდაპირ სხივებს არ უშევებენ, მაგრამ სინათლე მინც არ  
იყარება; იგრეთვე სალამოს, მზის ჩასვლისას, თუმცა მენტ  
ძლიერი ბრწყინვალე სხივები ოლარა ჩანან, მაგრამ სინათლე  
მინც არ ქრება რამდენიმე წამის განმავლობიში. როგორ  
ხდება ეს საკვირველი მოვლენა, და რა არის მისი მიზეზი?  
თუ სხივებია სინათლის წყარო, და ისინი კი პირდაპირი გზით  
მოგზაურობენ, რაღა გვინათებს მაშინ, როდესაც იმათ წინ  
რამე ეფარება? ზოგიერთი სხვა შემთხვევა რომ იყილოთ ისე-  
თი, როდესაც ამა თუ იმ მოვლენის გამომწვევ მიზეზს რამე  
დაბრკოლება ხვდება გზაზედ, მაშინ იქ თვით ეს მოვლენაც  
ისპობა, და ალარც მისი მოქმედება გრძელდება. შესაღარებ-  
ლად მოვიგონოთ წყლის მოქმედება: როდესაც წევის წვე-  
თები ეცემიან მიწაზედ, ისინი ისკველებენ მხოლოდ იმ ად-  
გილს, სადაც დაეშვნენ,—დანირჩენი ადგილი კი მშრალია.  
მიღიხარ ხანდახან გზაზედ და ჰედავ, რომ რამოდენიმე მან-  
ძილზედ ტალახია ამდგარი, შემდეგ კი ცალიერი მტვერია;—  
ადგილი მისიხველრია, რომ პირველ ადგილს წვიმა ყოფილა  
და მხოლოდ ეს ადგილი დაუსკელებია. სხივებიც ხომ ასე  
ერთ ადგილს ეცემიან, და რატომ აქეც იმნაირივ მოვლენა  
არ ხდება, როგორც წვიმის დროს, ე. ი. რატომ არ ბნელა  
იქ, სადაც სხივები არ ეცემა? სახლში, მაგალითად, არაფერი  
არ სველდება, როდესაც გარედ წვიმს, მაგრამ სინათლე კი  
შემოტის (ფანჯრების და კარების შემწეობით), თუნდა მზის  
პირდაპირი სხივები იმას არასოდეს არ ხვდებოდეს. საიდუმ-  
ლოება ამ უკანასკნელ მოვლენისა იმალება იმაში, რომ ჩვენ  
უველგან ვერ ვხედავთ სხივებს, თუმცა ისინი იმყოფებიან იმ  
ბრწყინვალედ განთებულ ადგილსაც, რომელსაც მზე და სხვა  
სინათლის წყაროები პირდაპირ და თავისუფლად დაჭყურებენ,  
და იქაც, სადაც ბევრად უფრო სუსტი სინათლეა. საქმე იმა-  
შია, რომ სხივი ისე არ ჩერდება ერთ ადგილზე, როგორც  
სწორ ადგილს დაცემული წვიმის წვეთი: როდესაც სხივი  
შეხვდება რომელიმე გაუმსჭვირვალ საგანს, ის უმეტეს ნაწი-

ლად უკანვე გაბრუნდება ხოლმე, პირს იქცევს იმის მსგავს სად, როგორც გასროლილი ჩეზინის ბურთი ჯერადაც მცირდება. როდესაც სხივები და ხრილიდ მოდიან და ხვდებიან საგნებს, ისინი უკუიქცევიან, მაგრამ ძველ გზაზედ აღარ ბრუნდებიან, განზედ უხვევენ, ეცემიან სხვა საგნებს და ანათებენ მთ. წირმოვიდგინოთ ეს მოვლენა სურათის შემწეობით. ვთქვათ, სირკეს დაცუა დახრილიდ სხივი პბ (სურ. 6); ის მაშინვე უკუიქცევა განზედ და მიიღებს ახალ - მიმართულებას პბ, ასე რომ იმნაორიადე დახრილად წირმოვართება მეორე მხარეზედ, როგორც პირველი მხრივ დაეშვა. <sup>1)</sup>

ამ სწორედ იმ გარემოების წყალობით ვხედივთ ჩვენ საგნებს: იმათ-მიერ უკუიქცეული სხივები ხვდებიან თვალს და თვალის ნერვის შემწეობით აგრძნობინებს ტვინს მთი გამომტკიცინი საგნების სახეს; ამას ქვეით უფრო დაწვრილებით ვნიხავთ. სარკეც იმ გარემოების წყალობით ვვიჩვენებს საგნების გამოხატულებას: როდესაც სარკეს წინ ვდგევართ, ჩვენი სხეული უკუაცევეს ხოლმე უველა იმ სხივებს, რომელებიც ჩვენ გვანათებენ, ისინი ხვდებიან სარკეს, უკუიქცევიან ხელმეორედ, ხვდებიან თვალს და ახდენენ გამოხატულების შთაბეჭდილებას. იმ მხრივ სარკეს ვით მოქმედებს სხივებზედ ყოველი სხვა გასპერაკებული ზედა პირი, მაგალითად, ვერცხლის ან სხვა ლითონის ფიცარი, კოვზი ან სხვა რამე, და



სურ. 6.

სურათი 6.


1) თუ სხივი სწორედ, არა — დახრილად დაეცა სარკეს ან სხვა ხაგანს, ის უკუ იქცევა იმავე გზით და განზედ აღარ გაუშვევს.

ამიტომ ასეთ სპერაკ-ზედაპირიან საგნებს სარკეებს უწილეს-  
ბენ. სარკეს შემწერბით ჩვენ შეგვიძლია უკუდესობობის  
გადავისროლოთ მზის ან ლამპის ღონიერი სხივები მნელ ან  
სუსტად განათებულ იდგილის და უფრო შესამჩნევად გავანა-  
თოთ. ეს არ მოუხდენია ბოეშობისას გასართობად ასეთი  
ცდა, რომელიც სიმოვნების გარდა დიდ გაკვირვებასაც იწ-  
ვევს. ბაეშები ამ მიზნით იიღებენ სარკეს, მიუშვერენ მზის  
პირდაპირ სხივებს, მიატრიალ-ზოატრიალებენ სარკეს ნელ-  
ნელა და ხან კედელს ან კერს გაანათებენ უფრო ღიად უკუ-  
ქცეული სხივებით, ხან ვისმე თვალებში მიანათებენ და სხ.  
სხვა საგნებიც სარკეს მზგავსად უკუქცეული სხივებს, თუმცა  
უფრო სუსტად, და ჰერანტავენ იმათ სივრცეში, რის გამოც  
სინათლე ვრცელდება არა მარტო იმ მანძილზედ, რომელზე-  
დაც პირდაპირი სხივები ვრცელდებიან, არამედ იქაც, სადაც  
კი მიატანს უკუქცეული, გაფანტული სხივები. ეს სხივები,  
როგორც დაკვირვება გვიჩვენებს, ისეთი ღონიერი არ არიან  
არც სინათლით და არც სითბოით, როგორც პირდაპირი სხი-  
ვები, რადგანაც იმათ თანდათან იკრებენ ის საგნები, რო-  
მელთაც ისინი შეხვდებიან ხოლმე გზაზედ, და ამის გამო  
ისინი სუსტდებიან.

Նցցու գասաելոցծով յանշնեბու մալուտ թոյթեցքն են-  
նուղա ծունեցամու պարզան և պազելուու. գոլուտ առը,  
միու մանսցուամուս, հուցեսաւ մուս և սեուցեն հայնամուս չըն-  
կուցք էուրդապու առ մանսցուան, սոնաւղա մանցա զայցք, հու-  
ցանաւ ոմաւ պայտայցք էուրի և հայնայց պայտայցք էուրի. գոլու-  
տ սոնաւղա պայտայցք սանլու պայտայցք նախուած ոմ  
սեուցեն բայցուած, հումլուցեն պայտայցք էուրի, լու-  
ծուցեն և սեցա զարցից սացնեն. լուցուրցենու սեուցեն ըստ-  
պայտայցք ամարցածուած ոմ թյետեցքամու, հուցեսաւ զայցք և սո-  
նաւղա զամլուցրցեն: զայցրացտ լումնես պայտայցք (իւլալուտ առ  
Շանու քութ), հումլու թացուուայց պայտայցք էուրի սեուցեն  
և նցցու տուրցմու սրաւուած առ լումլուց; ու զայցք նուն

გავინათოთ გზა კარგად, მაშინ ლამპარს აფუფარებთ შეხრილ  
მეტალლის სარკეს, რომელიც ყველა სხივებს ერთი შეზრისძიება  
კენ მიმართავს. იმისთვის შეხრილ-სარკეებიან ლამპარს ხმარო-  
ბენ ეტლებზედ, ველოსიპედებზედ, სინათლის სხვა-და-სხვა  
აპპარატებზედ და სხ.

ი. მოსე შვილი





## ნაკოლეონ გონაპარტი

მისამართი

(თარგმანი)

¶

ნაპოლეონის გამოქვაბული



არიამობისთვის 15-ს 1776 წელს, ორი პატარა ქალი დასკორნობდა აიაჩიოს ერთ ბაღში კოჩისიეს კუნძულზე. ბავშვები გაჩქარებული ყბელობდნენ და დრო გამოშვებით უფავილებს ჰკრეცდნენ. მშვენიერი ხეილნები თითქო შორს ზღვაში იყრ-გებოდა და მეტე ისევ ლაშაზ სან-გვინიერის კუნძულზე გამოსხანდა.

გამოქვაბულის დანახვაზე უმცროსმა ბავშვმა შეაყენა თავისი ამხანაგი.

— ელიზა, — შეეხეები პატარა, — ნულარ წავილთ, გამო-ქვაბულისა მეშინიან; შეხედე რა რიგად დაულია პირი, თითქო შეკმის გვიპირებს.

— რა სასაკილო ხიჩ, ეს გამოქვაბული ხომ ნაპოლე-ოსაა.

— როგორ? ეს ბალი ხომ ბიძა შენისაა. ვანა გამოქვევით ბული ნაპოლეონს აჩექა? ან არ ეშინიან, შიგ შესცვალი იყოთ?

— არა, პანორია, ბიძის არც კი უფრეჭით გამოქვებულის ჩუქება, მიგრამ, რადგანაც ნაპოლეონი ყოველ დღე მოდის აქ, არ ვიცი რისთვის, მიმტომ დაერქვა ნაპოლეონის გამოქვებული.

— მარტო მოდის? — ჟიოზი პანორიამ.

— მარტოდ-მარტო! წარმოიდგინე მაგისგულისთვის ადრე დგება და გვიან იძინებს. სკოლიდანაც პირდაპირ აქეთ გამოსწევს ხოლმე.

— რისთვის, რას აკეთებს?

— რაღასაც ლაპარაკობს.

— ეს შეუძლებელია, ელიზა!

— რომ არც კი სჯერა! ნამდვილს გეუბნები. დიალ, ჩემი ძმა ნაპოლეონი ყოველ დღე მოდის აქ და მთელი სიათობით ელაპარაკება თავის თავს. მე თითონ ათას ჯერ გამოგონია.

— რას ლაპარაკობს?

— ის აშშობს... დაჭურიფე ყვავილები, პანორია ხომ ბევრია საჭირო.

— რატომ წინად არ მითხარი, იგერ იქ რა კარგი ყვავილები იყო.

— იმიტომ, რომ ის ბალი ძალა მლედლისაა.

— მერე სულ ერთი არ არის, ძალა მლედლისაა თუ ძალებისა.

— სრულიადაც არა!

— რატომ?

— იმიტომ, რომ ის ბალი ძალა მლედლისაა.

— არ მესმის.



ნაპოლეონ ბონაპარტი.

— როგორ აგისხნა, არ ვიცი. ბალი იშისია და იშიტომ  
არ შეიძლება, კურფა უფავილებისა.

შეიძლება უფავილებისა

— უပნაურია ღმერთმანი!

— ნუ ითხრებ, პანორია, რა არის აქ უპნაური, რო-  
დესაც თითონ დედა ამბობს მავის.

— დედა?

— რასა კეირველია. როდესაც გვიშლიან რასმე, ყოველ-  
თვის გვეუბნებიან, ძია მღვდელს არ უყვარს ეგვა; ყვირილი  
არ შეიძლება, რადგანიც ძია მღვდელს შევაწუხებთ; რჩსმე  
ხელის ხლება არ შეიძლება, რადგან ძია მღვდლისაა. ხილის  
ჭამაც არ შეიძლება, რადგანიც იმის ბალიდან არის. ალერსის  
დროსაც კი უჩატებენ, ძია მღვდელი კმაყოფილია თქვენით.

— ნუ თუ იმიტომ ეშინიანთ ძია მღვდლისა, რომ აია-  
ნიოს დეკანოზია?

— არავისაც არ ეშინიან, მხოლოდ აი რაშია ხაქმე: მა-  
ნა ჩვენს, სილარიბის გამო, არ შეუძლიან კარგი მასწავლე-  
ბელი მოიწვიოს ჩვენთვის და იმიტომ ძია მღვდელმა ჩვენი  
აღზრდა თითონ იყისრა. ის სრულებითაც ანჩხლი არ არის,  
მაგრამ ვის იმას, ვინც დააშვებს რასმე: მისტყებაეს.

— ეკი ანჩხლი არ არისო?

— არც არის; განა შენ კი არას დროს არა გცემენ?

— არას დროს! დედა ამბობს, ბავშვების ცემა კორსიკა-  
ნელების ჩვეულებათ, ჩვენ კი ბერძნები ვართ.

— ოჲ, პანორია, როგორ მინდა, შეც ბერძნენი ვიყო!  
ვიცოდე, რომ ჩემს დღეში იუარავინა მცემს!

— შენს ძმებში მგონი ნაპოლეონის ცემა უცელაზე ძნე-  
ლია.

— წარმოიდგინე, რომ არა. ნაპოლეონი ხმასაც არ  
იდებს, როცა სცემენ; იოსებს რომ ყური დაუგდო, უჱ...  
ლიუსინი ხმ ნაპლეოლი უბედურებაა! თითო რომ დაადო, ისე  
დაიყვირებს, თითქო ყელსა სწრიანო.

— მართლა! რას ავბობდი? რას ლაპარაკობს ნაპოლეონი  
გამოქვაბულში?

— ჩუ! იგერ თითონაც მოდის. დავიშალნეთ ისამნის  
უკან და ცველაფერს გაიგებ.

— სევერია რომ ძებნის დაგვიწყებს.

— რას ამბობ, ის ჯერ დიდხანს მოუნდება ხილის ჩემ-  
ვას. — ამ სიტყვებით ქალები მიიმაღნენ ბუჩქებში და იქიდან  
ჩუმალ დაიწყეს ყურება.

ყმაწვილი უახლოედებოდა გამოქვაბულს. ეს იყო და-  
ბალი ტანის, დიდთავი. მაღალი კეკიანი შეტლით და მეტ-  
ყველი თვალებით იჩინოდა დანარჩენ ბავშვებში. სტუქსიელ-  
ნენ, თუ უალერსებდნენ თრიკეს გულგრილად უხვდებოდა.  
მხოლოდ მისი თითქოს გაჩერებული თვალები გულის სილრ-  
მებდინ სწვდებოდნენ და ხშირად აკრთობდნენ ადამიანს.

ნაპოლეონს თვალები ზლიისთვის დაეშტერებინა და მძი-  
მედ მოაბიჯებდა. სასტიკი, დაფიქრებული ბავშვი დიდ ადა-  
მიანსა ჰგავდა. თავის ბიძის მღვდელსავით ხელები ზურგს  
უკან დაეწყო და ლრმად ჩაფიქრებული მოდიოდა. მისი სახე  
ხან ბავშვიერი მხიარული იყო, ხან დიდი ადამიანისავით  
ფიქრით მოცული.

გამოქვაბულთან რომ მივიდა, შედგა. ეტყობოდა, რომ  
საქმისთქვის იყო მოსული და მარტო ყოფნა უნდოდა. ის-კი  
არ იცოდა, რომ ორი ცნობის მოყვარე გოგო უთვალთვა-  
ლებდა.

— აქ მე თითონა ვაჩ ჩემი ბატონი, არავის შეუძლიან  
ჩემი ბრძანება, დაიწყო ნაპოლეონმა გამოქვაბულში შესველი-  
სათანავე. მერე დაჯდა სკამზე და განგრძო:

— დღეს შვიდი წლისა შევსრულდი! ბავშვი ილია ვარ,  
კეკიანები იყვნენ სპარტელები. ოჲ, ნეტავი მეც სპარტელი  
ვიყო. ჩემი ნება რომ იყოს, ყველა ბავშვს იმათებურად ივ-  
ლზრდიდი. სპარტაში ჩემ ხნამლინ დედა ზრდიდა შვილს, მე-  
რე კი მამაკაცი. ჩევნში-კი ცველა ერევა. მაგალითად, მე  
მზრდიან: მამა ბონაპარტი, ძია მღვდელი, ძია ფეში — დედა  
ჩემის ძმა, ჩემი ძმა იოსები, ელიზა, რომელიც ქრისტი წლით-

ჩემზედ პატირია და უსუსურ პოლეტისაც-კი იქვს ხმა. რამ ჩემი  
ნება რომ იყოს!...

— მერე რა იხამდი, შენი ნება რომ იყოს? ჰეთხა  
ელიზამ და წიმოყო თავი ბუჩქებიდან.

— ყველაზე უწინ გადაგაჩვევდი სხვის ლაპარაკის ყურის  
გდებას, — უპასუხა უკმაყოფილოდ ნაპოლეონმა.

— ექ ხომ კარები არ არი.

— მით უარესი! — უთხრა ნაპოლეონმა, რომელსაც არ  
უყვარდა მტკუანისაგან თავის გამართლება.

— ელიზა! პანორია! ელიზა! პანორია! — გიოსმი ძიხი-  
ლი. — ელიზა! პანორია! სად დამიმალენით? — ელიზამ ხმა გა-  
სცა. მის ხმაზედ გამოჩნდა მოსული დედაეკაცი მწვანე კაბით,  
ომები ზევით ჰქონდა ვარცხნილი და ვერცხლის ქინძისთა-  
ვით დამიგრებული, ხელში კალათი ეჭირა.

— ნაპოლეონის გამოქვაბულთან ხართ? — უთხრა დედა-  
კაცმა, ბავშვებს რომ მიუხელოვდა.

— ერთი მსხალი მომეცი, სევერია! ერთი მსხალი, და-  
უყვირა ნაპოლეონმა. გამოვარდა გამოქვაბულიდან და ჩასყი-  
ხელი კალათში.

— ღმერთმა დაგიფაროს! ეს ხილი ძია მღვდლის ბალი-  
დან არის, — უთხრა სევერიამ.

ნაპოლეონმა შაშინვე მოაშორა ხელი, თითქოს ფრტ-  
კარშა უკინნა. პანორიას სიცილი წასკდა.

— სასაცილო სწორედ! — ხარხარებდა ის, — ოღონდ კი  
ძია მღვდლის სახელი ახსენონ და შაშინვე თავს ანგებებენ  
უკელაფერს. ნუ თუ სევერიასაც ეგრე ეშინიან იმისი?


— ისე, როგორც მე — უპასუხა ნაპოლეონმა.

— როგორ თუ, როგორც შენ? აკი ვერ გამედე მსხლის  
აღება.

— იმიტომ რომ არ მინდოდა.

— ვერ გამედე.


— არა, არ მინდოდა,



- ଏହା ମନ୍ଦିରଙ୍କୁ ଦେଖିଲୁଛୁ.  
 — ଏହା ମନ୍ଦିରଙ୍କୁ ଦେଖିଲୁଛୁ.  
 — ଏହା ମନ୍ଦିରଙ୍କୁ ଦେଖିଲୁଛୁ ଏହିପରିବା?  
 — ଏହା କୁଣ୍ଡଳରେ ଦେଖିଲୁଛୁ  
 — ଏହା କୁଣ୍ଡଳରେ, ବାତାଳରେ, ଏହା ମନ୍ଦିରଙ୍କୁ ଦେଖିଲୁଛୁ ଶ୍ରୀନାଥ  
 ଶିନ୍ଦୁରାଜ, କୁଣ୍ଡଳରେ ଦେଖିଲୁଛୁ ଏହିପରିବା.—ଶ୍ରୀକୃଷ୍ଣଙ୍କୁ ଦେଖିଲୁଛୁ  
 ଶ୍ରୀନାଥ, ମନ୍ଦିରଙ୍କୁ ଦେଖିଲୁଛୁ, ତାହା ଏହିପରିବା:  
 — କୁଣ୍ଡଳରେ ଦେଖିଲୁଛୁ.  
 — ଶ୍ରୀନାଥ ଗର୍ବନ୍ଧୁ, ଶାରୀରିକ ଶ୍ରୀନାଥ ଏହା ମନ୍ଦିରଙ୍କୁ ଦେଖିଲୁଛୁ, —ଏହି  
 ଦେଖିଲୁଛୁ ଏହିପରିବା,—ଶାରୀରିକ ଶ୍ରୀନାଥ ଏହା ମନ୍ଦିରଙ୍କୁ ଦେଖିଲୁଛୁ.  
 ଶିନ୍ଦୁରାଜଙ୍କୁ ଦେଖିଲୁଛୁ ଶ୍ରୀକୃଷ୍ଣଙ୍କୁ ଦେଖିଲୁଛୁ ଏହିପରିବା ଏହିପରିବା. ଏହିପରିବା  
 ଦେଖିଲୁଛୁ ଏହିପରିବା ଏହିପରିବା, ଏହିପରିବା ଏହିପରିବା, ଏହିପରିବା.

ତ. ଶାକ୍ତରାମ

ଦୂରବିଦ୍ୟାକାରୀ ପାତା





## მაღლიერი ლოგი

(რომელთა თქმულება ვ. ხვერლოფისა.)



ომში ნითელი და ცხელი ზაფხულის  
დღე გათენდი. საშინელი სიცხის ბოლი  
იდგი. მაინც ყოველი მხრიდან დიდი  
ხალხი მოდიოდა ცირკისკენ და მის  
ვიწრო კარებით შედიოდნენ უშველე-  
ბელ ბემონში. ბემონის ერთი მხრიდან მეორემდინ გაბმული  
იყო ჩაქსული ფარჩი და მც. ქვეშ უფრო ვრილოდა, რადგან

შეს უფარებდა, მეორე შხარეს კი ცხარე შე ადგა და ცხე-  
ლოდა.

თასომით ხალხის ხმიანობით ყრიუ გუგუნი ისმოდა ცირ-  
კში. ყველანი შე შურებოდნენ ილიგის დასაქერად. ხან და  
ხან ხალხის ხშას ჰფარავდა ლრიალი ნადირთა, რომელნიც  
დამწყვდეულნი იყვნენ. ამ ნადირთ რამდენიმე დღე არას აქ-  
მევდნენ, რომ უფრო განძვინებულნი და უწყალონი ყოფი-  
ლიყვნენ.

მოედანზედ დადიოდნენ ცეზარის მოლოდნში მისი ამაღა,  
ცირკში მოსამსახურენი და ქალაქის საპატიო მოქალაქენი.  
ესენი მოუთმენლად შეჰყურებდნენ ცეზარის ლოგის და ცდი-  
ლობდნენ შეემჩნიათ ლოგიში მოძრაობა, რომ მით შეეტყოთ  
ცეზარის მოსვლა ანუ შოახლოვება, შიარულად ლაპარაკობ-  
დენ. დღევანდელი სანახევი ძალიან სიყურადლებო უნდა ყო-  
ფილიყო. პირველი ისა, რომ დღეს უფრო ბევრი იყო, ვიდ-  
რე სხვა დროს, მომზადებული დამნაშავე მონები შეეცების  
საქმელად; მეორე - ამბობდნენ, აფრიკის გამგებელს საჩუქრად  
გამოუგზავნის ცეზარისთვის საგანგებო ლამაზი და ლონიერი  
ლომით.

ი იმპერატორის ლოგიში მხედარნი და ქეშიკნი დაფა-  
ცურდნენ, გაისმა საყვირის ხმა, ყველანი თავ-თავის ალაგას  
დალაგდნენ.

იმპერატორი შევიდა ყვავილებით და ოქრომკედით მო-  
ქირგულ ილისფერ ფარჩით მორთულ ლოგიში; იქვე იდგნენ  
მუჯამრები სუნნელებით. ხალხი მიბრუნდა ლოგისკენ და სხვა  
და სხვა ხმით ჰყვიროდა:

— გაუმარჯოს ცეზარს!

კალიგულა შევიდა ლოგაში და დაჯდა ილისფერი ბა-  
ლიშებით დაგებულ ოქროს და სპილოს ძვლის სამეფო ტახ-  
ტზედ.

კალიგულა დაიბადა მე-12 წ. ქრისტეს შობის შემდეგ  
და სამეფო ტახტზედ სენატისა და ხალხისაგან, იქნა შიწვეუ-

ଲୁଗ. ମାରୁତଳାପ୍ର ତିର୍ଯ୍ୟକେ ହିଲ୍‌ଫିଲ୍‌ଶି ଯାଣିଗୁଲା ମେଘନଦଙ୍କା ସିମାର-  
ତଳାତ ଦା ଲମ୍ବନଦୀର୍ଗଦିତ. ମାଗରାମ ଡିଇ ବାନ୍ଦ ଠାକୁରିଙ୍କା ଅନ୍ଧବ୍ୟାକ୍ରି-  
ମା ମେଘନଦାମ. ରାଜ୍ଯ ବାନ୍ଦ ଗାଲିଗଲା, ଏହି ଉତ୍ତର ଓ ଉତ୍ତର ଉଲ-  
ମଦିଗଲା ଦା ତିର୍ଯ୍ୟକେ ବ୍ୟାପନାଲା, ଦା ବୋଲାଳୀ ମର୍ତ୍ତାର୍ଵଳାଲ ନେଇ  
ତାଙ୍କି ବୋଲିବିଲାକୁଥିଲା, ଉପନିଷଦମା ବ୍ୟାପନାଲା ମିଳି ବ୍ୟାଲା ଦା, ରାଜ୍ୟ  
ମେଘର ମିଥ୍ୟରକଳା ଲାଗୁବ୍ୟବନାଲା, ମିଳି ଉତ୍ତର ମେଘର ଉଚ୍ଚିତ ବ୍ୟାପନାଲା  
ଯାଣିଗୁଲାକୁ ବ୍ୟାପନାଲା ବ୍ୟାପନାଲା ବ୍ୟାପନାଲା.

ଯାନ୍ତେବେଳେ, ଗଲାଫଳାର୍ତ୍ତମାନଙ୍କର୍ଗଦିଲା ପରିମଳାକୁ ଫରନାଲା,  
ଯାଣିଗୁଲାମ ଉଦ୍ଧରିତାନା ଯାନ୍ତେ-ଯାନ୍ତେ ମାଧ୍ୟମର୍ଗଦେଖିଲା ଗାଲାଯେଗଲାଟ ମେଘପ୍ରେଦିଲା-  
ତାଙ୍କି ଶ୍ରେଷ୍ଠମେଲାଦ, ବାନ ଦା ବାନ ବାଲିଲିନ୍ଦେଇ ଏକ ବାକିମନ୍ଦେଇ ଉଦ୍ଧରି-  
ନ୍ଦ୍ରଦା ବୋଲାମ୍ବେ,—ମିଳି ତାଙ୍କ ଫିନ ଯାନ୍ତେମେଦିନାଟ ଦା ନେଇ ତାଙ୍କ  
ମୌର୍ଯ୍ୟବ୍ୟତାତ ରାମମେଲିମ୍ବ ବ୍ୟାପନାଲାକୁଥିଲା. ଏହି ଦେଖିଯାଏ ମିଳି  
ମେଘପୁରୀ ବ୍ୟାପନାଲା ବ୍ୟାପନାଲା, ରାମ ଯାନ୍ତେବେଳେ ପାରମାନନ୍ଦା:—  
ନେତ୍ରାବ୍ୟା, ରାମମାୟା ବୋଲିବେ ଯାନ୍ତେ ତାଙ୍କ ତିର୍ଯ୍ୟକେ କିମନନାଲା, ରାମ ଯାନ୍ତେ  
ଦାକ୍ଷରିତ ମାତ୍ରମେହେତାମ!

ସମ୍ବନ୍ଧିତ ବ୍ୟାପନାଲା



ଭାରତୀୟ ପ୍ରକାଶନ



(၃၂၅)

მ თვის ოცდა ორს ნიხვარი წელიწადი შესრულდა, რაც მანგლისში გადაიცვალა მეორე გიმნაზიის მეშვიდე კლასის მოწიფე ირაკლი სპირტონის ძე ბაქრაძე.

განსვენებული ნიჭიერი ყმაშვილი იყო და, რა საკვირველია, კარგადაც სწავლობდა. სამწუხაროდ, შარქან მარტში, როცა გიმნაზიაში ორეულობის დროს რამდენიმე მოწაფე დაითხოვეს, განსვენებული ირაკლიუ დათხოვნილ-თა შორის მოსვდა. თუმცა შემდეგ დამტკიცდა, რომ სრუ-ლიად უდანაშაულო იყო, და სასწავლებელში დაბრუნე-ბის უფლებაც მიიღო, მეგრამ გვიანდა იყო, რადგან დას-ნეულდა და ლოგინად ჩაერჩდა. ივაღმყოფობა შეწრაფლ მიმდინარე ჭლევად გადაექცა, რამაც თოხი თვის განშევლო-ბაში სიცოცხლე მოუსპოვანან-ლონით ხვდეს ახალგაზდას.

პატარა ირაკლის ბავშობიდანვე ხატვა უყვარდა და  
მთელ თავის თავისუფალს დროს ხატვაში ატარებდა. განსვე-  
ნებულის შშაბლების ოჯახში დღესაც შენახულია თითქმის  
ყველა ის სურათები, რომელიც პატარა ირაკლის უხატავს  
მოსამზადებელ კლასიდან ვიღრე გადაცვალებამდის. ეს სუ-  
რათები ნათლად მოწმობენ განსვენებულის ხატვის ნიჭს. დარ-  
ჩენილ სურათებში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევენ:  
„დარიალის ხეობა,“ „აღლელვებული ჩლვა“, „ტყის სურათი

„შემოდგმაზედ“, „შამილი“ და „ილია ჭავჭავაძის“ ფიურულებულებელი სურათი. მცოდნე პირთა მოწმობით ყველა იქნას სურათი თები ხელოვნურად არის დასატული.

განსვენებული ჯერ კიდევ 18 წლის ყმაწვილი იყო, მაგრამ მიუხედავად ამისა მას სიყმაწვილითვე ჰქონდა გულში ჩანარებილი საზოგადოებრივი გრძნობა და შეძლებისა დაგვარად თავის თანამშრომლობით ხელს უწყობდა ჩვენს ეურნალს „ნაკადულს.“ საცა იგი ათავსებდა ხელოვნურად მოსაზრებულს რებუსებს.

საუკუნოდ იყოს ხსენება შენი, ჩვენო უდიროვოდ დაკარგულო, პატარა თანამშრომელო!

ა. ბ.



## መመልከት ቤት

ଓଡ଼ିଆ ମାଟ୍ର

დიომედესის და ფიცის გამტეხელის

## პირდაპირის შებრძოლება

ქველებისა და ტროადელების შეომრები სიმკულრ  
სასოციალუროდ იბრძოდნენ. ყველაფარ და ყველაფე-  
რი სისხლის მორეგში ცურავდა. ბრძოლის ველი ამ დროს  
რაღაც საშინელებას წარმოადგენდა. იქვედათ შორის ყვე-  
ლაზედ უფრო თავგანწირულად იბრძოდა ტიდებს ძლევამო-  
სიღრი შვილი დიომედესი. თვით ათინა ქალღმერთში ჩაუნერგა  
დიომედესს გულში სიმამაცე და გაბედულობა, რომ ამნაი-  
რად ახალგაზიდა გმირს პირველობა გამოეჩინა და ბრძოლის  
ველზედ თავი ესახელებინა. ქალღმერთში ახალგაზიდა გმირის  
ჩაქანი და ფარი სხივოსანი სინათლით შემოსა, ესეთივე სი-  
ნათლით გაუბრწყინა ახალგაზიდა შეომარს მაღალი შუბლი და წარ-  
გზავნა, საცა საშინელი და ცხარე შეტაკება იყო გაჩაღებული.  
დიომედესი შედგრად შეებრძოლა ტროადელებმს. ახალგაზიდა  
გმირის პასრი ხმალი შეებრალებლად სიცოცხლეს ახალმებდა  
ყველას, ვინც-კი მის წინააღმდეგ გაიღაშქრებდა, იგი ამ დროს  
იმ აზეირთებულ მდინარეს მოგაბონებდა, რომელიც წყალ-  
დოდობის დროს ყველაფერს გაანადგურებს, ყველაფერს წალე-  
კავს. დიომედესის ბრძოლის ველზედ გამოჩენამ ტროადელებს  
შიშის ზარი დასცა და ზოგი რაზმი კიდევეც უკურაჭა.

მეტიად გავირევებულის მდგომარეობას განიცდიდნენ ამ დროს ტრანსალელები და შველის კი არსაიდან არ მოელოდ-

ნენ. პინდაროსი მოუთმენლად მოელოდა იმ დროს, როცა  
იგი თავის შორს მტყორებნ შვილდისჩით სასიკვდილოდაზუდულ  
გაუგმირავდა გამარჯვებით უკვე გულ გალალებულს დომე-  
დესს. მართლაც ესეთი მოხერხებული დრო პინდაროსმა სულ  
მაღლ ხელთ იყდო. როცა დიომედესი პინდაროსისაკენ გაე-  
მართა, იმ უკანასკნელმა მაგრად მოიმირჯვა ხელში თავისი  
მშვილდ ისარი და რაც ძალი და ლონე ჰქონდა სტყორუნა  
პირდაპირ დიომედესს. ლონიკრად ნატყორუნმა ისარმა საზა-  
რლად გაიზუზუნა ჰაერში და მარჯვენა მხარში მოხედა დოო  
შედესს. წითელმა ან კარა სისხლმა ნაკადულებრ ამოსჩქეფა  
კრილობისაგან. გამარჯვებით გახირებულმა პინდაროსმა ხმა  
მაღლად შეჭყვირა: „ლმერთები მოწყალენის არიან, მამაცო  
ტროადელებო!”

ჩემმა შორს ნატყორუმა ისარმა სასიკვდილოდ გაპგმირა  
იქეველების სააშაყე გმირი, სწორედ ის გმირი, რომელიც  
ასე შეუბრალებლად გვიხოცდა მამულის შვილებს! დია! სა-  
სიკვდილოდ გაპგმირა ჩემმა ისარმა თავმომწონე დიომედესი,  
ასე რომ, ვგანებ, ამიერილან იგი ვერ იხილავს დიდებულ  
მზის მაცოცხლებელ სხივებს!”

მამაცი დიომედესი მოუხედავად ესეთის მძიმე კრილობისა  
მაინც არ დაეცა სულით და გულით, ფეხაკრეფით გაემართა  
თავის მეეტლე სთენელოსთან და კრილობიდან ისრის ამო-  
ლება სთხოვა. სთენელოსმა დაუყოვნებლივ იმოულო ისარი.  
წითელი ან კარა სისხლი მამაც გმირს ნაკადულებრ კრილო-  
ბიდან მოსჩქეულა. სთენელოსმა კრილობა შეუხევა და მანუ-  
გეშებელის სიტყვებით გაამხნევა თავვანწირული გმირი.

დიომედესმა, მოკეთდა თუ არა ცოტათი, ათინა ქალ-  
ღმერთს ესეთის თხოვნით მიმართა:

„ჩემო მფარეველო, ომში ძლევა მოსილია ქალღმერთი!  
მომეც შეძლება, რომ ჩემმა მშვილდ ისარმა სიცოცხლეს გა-  
მოასალმოს ის, ვინც მე ასე მძიმელ დამჭრა და ვინც ასე

თავგამოდებით და შედიდერად მიკიცენებდა, ამიერილან მხსის  
მაცოცხლებელ სხივებს ვერ იხილავთ!

ათინა ქალღმერთმა ლამობირად და გამამხნევებელის  
კილოთი უპასუხა დიომედეს:

„უშიშრად დაუბრუნდა ისევ ბრძოლის ველს, მამაცუ  
დიომედეს! ნუ გემინია, მე შენში სენერგე მტრის წინაშე  
შეუდრეკელი გულადობა და სიმამაცე, შენს თვალებს მოვა-  
შორე ის სიბნელე, რამელიც მათ წინეთ ჰბურავდა და ამი-  
ტომ ამიერილან შენ ადვილად შეგიძლია გამოიცნო მომავ-  
დავი მეომარი უკუდავ ღმერთებისაგან. თუ ბრძოლის ველ-  
ზედ შეამჩნიო უიშე უკუდავ ღმერთადან, ნუ შეებრძო-  
ლები, ომს მოერიდე. თუ თამში მონაწილეობა მიიღოს აფრო-  
დიტა ქალღმერთმა, ნუ მოცრავდები, ჩაც ძალი და ლონე  
გქონდეს, სტუკრცნ შენი სალივრი და ბასრი მშვილდ ისარი“.

ამ სიტუაციის შემდევ ათინა ქალღმერთი შეუმჩნევლად  
განშირდა დიომედეს. თასაგაძლია გმირი დაუყოვნებლივ გაე-  
შურა ბრძოლის ველისაკენ. დიომედეს საბოლოოდ გადაწ-  
ყვეტილი შქმნდა სამკურნო სასიცოცხლოდ შებრძოლებოდა  
მტერს და სამაგიერო გადაემადნა მისთვის. მამაც მეომარს  
თვალები ელვასავით უკულესებდა, იფი ირგვლივ გააფრე-  
ბული ლომივად იცქირებოდა და თავის მოსისხლე მტერს  
დაეძებდა. ყველაფერი მის წინაშე ქედს იხრიდა, დედა მიწა-  
ზედ შობილს ადამიანს არ მეცნილო მიზი გზის გადალობა, მის  
წინააღმდეგ გალაშქრება. სიკედილით და განიდგურებით  
ილბეკდებოდა თვითეული მასი ნაბიჯი, სისხლის შადრევანით  
ირწყვებოდა მის მიერ განვლილი ბრძოლის ველის გზა

გააფრიებული დიომედესი ბრძოლის ველზედ დაინახა  
თუ არა აფროდიტა ქალღმერთის შეიღმა ენგასმა, იგი დაუ-  
ყონებლივ გაეშურა ელვის სისწრაფით ტროალელების რაზმ-  
თა შორის პინდაროსის მოსაძებნად.

ცოტი ხნის შემდევ ენ ეასმა მოსებნა პინდაროსი და  
შემდევის სიტუაციით მიმართა: „ძლევა მოსილო პინდაროს,

სადა გაქვს შენი შორს მტყორცნელი მშეილდესარჩული ვერა ხედავ აი იმ კაცს, როგორ მუსის ავლებს ჩვენს მოსახლეობას! მებს, როგორ სიცოცხლეს ასაღმებს თვითონეულს ტროადელს! შეევედრე ცისა და ქვეყნის მცყრობელს ზექსს და სტყორცნე შენებურად ისარი! სულერთია ვინც უნდა იყოს იგი მეომარი! გახსოვდეს, რომ ჩვენი მტერია და ტროადელებს ასე შეუბრალებლად ასაღმებს სიცოცხლეს!\*

პინდაროსმა უპასუხა ენეასს: ეტლის ცხენები და მაღალი და სქელი ჩაჩქანი დიომედესის უნდა იყოს და უთუოდ დიომედესი იქნება, ხოლო მეორე კი ეტლში მჯდომი მეომარი უთუოდ რომელიმე ღმერთთაგანია, რომლის დახმარებით დიომედესი ასე შეუბრალებლად ანიდგურებს ჩვენს რაზმებს. მე ერთხელ კიდევაც ვსტყორცნე მას ჩემი ისარი და მეგონა, კიდევაც ვამოვასალმე სამუდამოდ წუთი სოფელს მეოთქი! ზაგრამ, ხედავ როგორ თავგანწირულად იბრძვის!\*

ენეასმა უპასუხა: „პინდაროს, რას ამბობდი ჩვენ უთუოდ უნდა შევებრძოლოთ ამ მეომარს და მით მტერი არ გავხაროთ! ჩაბრძანდი ეტლში და გავეშუროთ მტრისაკენ. გახსოვდეს, ჩემი ცხენები ისე ფეხმალი არიან, რომ, თუ ეინიცობაა გაჭირვება რამ თავს დაგვატყდა და მტერი სასიკედილოდ ვერ გავვმირეთ, ხიფათს თავიდან მაინც აგვაცდენენ და უვნებლად სამშეიდობოს გაგვიყვანენ. მაშ დაუჭირე ხელი სადავებს და შენ გარეკე ცხენები, ხოლო მე გავკადნერდები და მოსისხლე მტერს შევებრძოლები! თუ ესე არა გსურს, შენ თვითონ შეებრძოლე და მე კი ეტლს განვაგებ, ცხენებს გავრცეკავ მტრისაკენ!“

— ბევრად საუკეთესო იქნება, რომ ცხენები შენ გარეკო. ცხენები შენ უკვე შექვეული გყავს, შენს ბრძანებას უფრო აასრულებენ, ადვილად შესაძლებელია შენი ცხენები გაჭირვების დროს არ დამმორჩილდნენ, მტერს ხელში ჩავუვარდეთ და სამუდამოდ სიცოცხლეს გამოვესალმოთ.

ესეთის ლაპარაკის შემდეგ ენეასი და პინდაროსი ჩაჯ-  
დნენ ჯავშნით მოქალაქე ილს საომარს ეტლში. ენეასიმ მშენება  
და გაბედულად გარეკა ცხენები მტრისაკენ. სამხედრო ეტლი  
ელფის სისწრავით მიექანებოდა ბრძოლის ველზედ.

დიომედესი და სტენელოსიც სამხედრო ეტლში ისხდნენ.  
სტენელოსმა, დაინახა თუ არა ეტლში მჯდომი ენეასი და  
პინდაროსი, ესეთის სიტყვებით მიმართა დიომედესს: „ხედავ,  
დიდებულო დიომედესს, იმ შძლავრ მეომრებს, რომელნიც  
ეტლით ჩვენსკენ მოექანებიან! ერთი მათგანი პინდაროსია  
რომლის მშენებელ-ისარი მუდამ ისე შორს ჰგმირავს მოსისხლე  
მტერს და არასოდეს მიზანს არ ისცდება. მეორე კი მასთან  
მჯდომი იფროდიტა ქალლმერთის შეილი, ძლევა მოსილი ენეა-  
სია გირჩევ, დიდებულო გმირი, უკანვე დავბრუნდეთ, თო-  
რებ ეს ორი გმირთა გმირი კარგს დღეს არ დაგვაყრიან,  
უთუთდ სასიკვდილოდ დაგვამარცხებენ! გირჩევ და თან გი-  
ვედრები, დიომედეს, უკანვე დავბრუნდეთ, წინააღმდეგ შეჩ-  
თხვევაში ჩვენი აღსასრულის დღე მოახლოვებულია“!

მწუხარედ შეხედა დიომედესმა სტენელოსს და ესე უპა-  
სუხი: „ვწუხვარ, ვწუხვარ, ჩემო მეგობარო, რომ სამშობ-  
ლოის ასეთს განსაკუდელის დროს ბრძოლის ველიდან უკუქ-  
ცევას მირჩევ! ვწუხვარ, რომ მოსისხლე მტრისათვის ზურგის  
ჩვენებას მირჩევ! განა დედამ მიტომ შშობა, რომ მტრისათვის  
ზურგი მეჩვენებინა! განა ამის შემდეგ მე ლირისი ვიქნები  
ოდესმე მშეილდისარს ხელი ვახლო და ბრძოლის ველზედ  
გამოვიდე! არა და არა, ეს ყოვლიც შეუქლებელი და მოუ-  
ხერხებელია! მე ათასჯერ საუკეთესოდ მივიმჩნევ ბრძოლის  
ველზედ სული დავლიო, სანამ მტერს სამარცხვინოდ ზურგი  
ვუჩვენო, ბრძოლის ველიდან უკუქცეცე და მტერს ამნაირად  
გამარჯვება ვარგუნო! მე ისიც შემშურს, ისიც მაწუხებს, რომ  
ეს ჩემი მოსისხლე მტერი ისე თავისუფლად ზის სამხედრო  
ეტლში და გაბედულის იერიშით მოდის ჩემზედ! მაშ, სტენე-  
ლოს, გამიგონე, რაც გითხრა! ათინა ქალლმერთი ჩემს მხა-

რეზედაა, იგი ჩემი მფარველია და უკველია გამოქვებულის  
მე მარგუნებს. ეკვს გარეშეა, რომ ჩვენზედ იერიშავ მთავრე-  
ვალ არივ მეომარს სასიკედილოდ გავგმირავ და სიცოცხლეს  
მოვუსწროვებ. შენ კი, როცა მე ჩვენი მტრები სიცოცხლეს  
გამოვასალმო, დროზედ შეიკავე ჩვენი ცხენები და ენდასის  
საშედრო ეტლი ცხენებითურთ აქველების ბანაკისაკენ გა-  
რეკე!

ამ სიტყვებთან ერთად გადმოხტო სამშედრო ეტლიდან  
და მაგრამ მოიშარჯვი ხელში მშვილდ ისარი. ამ დროს პინ-  
დაროსი და ენესიც მოუახლოვდნენ. პინდაროსმა ელვის სი-  
სწრაფით სტყორპნა ისარი დიომედეს. მაგრად ნატყორპნში  
ისარში შუაზედ გაუპო დიომედეს ფარი და სპილენძის ამ-  
ჯარჯამდის გაატანა. პინდაროსი ის იყო თავის გამარჯვებით  
უკეე ხირობდა, როცა დიომედესმა თავის შხრით მოიშარჯვი  
ხელში მშვილ ისარი და რაიცა ძილი და ღონე ჰქონდა სტყო-  
რპნა თავისს მოსისლე მტერს პინდაროსს. დიომედის მიერ  
მძლავრიდ ნატყორპნი თავწევეტრანი ისარი მოხედა პინდაროსს  
ცხვირში, თვალების მახლობლად, შეანგრია ცხვირ-პირი,  
შუაზედ გაჰვირია ენა ფიცის გამტეხელი პინდაროსი ელვის  
სისწრაფით გადმოეშვა სამხედრო ეტლიდან და უმაღლე განუ-  
ტევა სული. პინდაროსის უსულო გვაშმა და მისმა იარაღმა  
ისეთი ხმა მოიიღო ეტლიდან გადმოეარდნის დროს, რომ  
ცხენები ერთიანიდ დაფუთხენენ და ყალზედ დგებოდნენ.

ენერესი დაუყონებლივ ჩამოხტა სამხედრო ეტლიდან, იში-  
შვლი ბასრი ხმალი და ყველას სასიკუდილოდ გაგმირების ემუ-  
ქრებოდა, ვინც-კი პინდაროსის უსულო გვამის ხელიდან  
წაგლეჯის აზრიდაც-კი გაივლებდა გულში.

ଡିଲମ୍ବେଦ୍ୟକୁ ଶ୍ରେଣୀରେ ଏହା ହୁଏ, ଅନ୍ତରେ ବ୍ୟାଲିମ୍ବି ପ୍ରଥମମାତ୍ରଙ୍କ ଉଚ୍ଚମ୍ବେଦ୍ୟକୁ ପାଇଲା ଓ ମଧ୍ୟମ୍ବେ ଲୋକଙ୍କ ଦ୍ୱାରା ବ୍ୟାଲିମ୍ବି ପାଇଲା ଏବେଳେ ଯେ-  
କୁଳପତ୍ରୀ, କୁଳପତ୍ରୀଙ୍କ ପାଇଲା ଏବେଳେ ଯେ-କୁଳପତ୍ରୀଙ୍କ ପାଇଲା.

ენეასმა მწვავი ტკივილების გამო ჩიტოქა და თრვესი  
მძლავრი ხელებით მიწას დაეყრდნო. ენეას თვალუფასებულება  
ნელდა და ეკვს გარეშეა, უთუოდ სიცოცხლეს გამოესილმე.  
ბოდი, რომ დედა მის იფროდიტა ქალლმერთს არ გადაერჩინა  
აუცილებელს სიკედილისაგან. სტენელოსმა თანამშად დიომე-  
დესის თხოვნისა ენეასის ცხენები და სამხედრო ეტლი აქვე-  
ლების ბანაკისაკენ გარეკა. იფროდიტა ქალლმერთმა კი ამ  
დროს აიყვანა ხელში თავისი საყვარელი შეილი, გადააფარა  
მას თავის ბრჭყვიალა ტანსაცმელის კალთა და ბრძოლის ვე-  
ლიდან გიტაცა.

ა. შიქაბერიძე





## შ ა რ ა დ ა

(წარმოდგენილი თერთ კანტონაკუს მიერ)

მწვანილი ვარ, მაგრამ ასოს  
თუ წამიშლი მე პირველსა,  
მდინარედ გადავიქცევი,  
ვრწყივ კანეთის ყანებ-ეცლსა!

პირველ ხმოვანს თუ წამიშლი,  
ორჯერ იხმარ მეორესა,  
მე ერთ სოფელს წარმოგიდგენ,  
თბილის ახლო მდებარესა.

თუ რომ მარცვლებს გადაიტან,  
გადააბამ ერთმანერთსა,  
მაშინ კრდევ სხვა მდინარის  
სახელს ჰპოვებ ჩემში ერთსა!

## არითმეთიკული გამოცავები

(სოფელ პასიუთიდან, პეტრე აბდუშელიშვილის მიერ ჩაწერილი)

ერთმა ვიქარმა თავის ნოქარს დავალია ასი სული  
საქონლის ყიდვა. გაატანა ასი მანეთი, თანაც დაბარია: არც

ფული დამიხარჯო ას მანეთზე მეტი და საქონელიც ასეთს უკალი მიყიდე, — ხარი, ძროხა და ხბო. ხარში თუმცნი — მიუკრე, ეს ძროხაში მანეთი და ხბოში ათი შაურით. რამდენს იყიდდა ხარს, ძროხას და ხბოს, რომ ასი სული შემდგარიყო და მარტო ასი მანეთი დახარჯულიყო?

მამამ თავისს ოთხს შვილს  
აჩუქა ერთი ნაკერი თოხკუ-  
თხი მიწა — ვაშლის ხეებით, რო-  
მლებიც ისე იყო ჩამწერივე-  
ბული, როგორც სურათზე ნა-  
ჩენენგბი: შვილებმა ეს მიწა გა-  
იყვეს ოთხ თანასწორ ნაწი-  
ლად. ეს ნაწილები ფორმი-  
თა და სიდიდითაც ერთმა-  
ნეთს ჰგვანდნენ და ყოველ  
ნაწილზედ სამ სამი ვაშლის ხე იდგა. როგორ გაუჟვიათ შვი-  
ლებს ეს მიწა?

串	串	串
串	串	串
串	串	串
串	串	串
串	串	串

## გ ა მ ი ც ა ნ ა.



მეფე იქ არის, სადაც რომ ტახტზე  
ყელმოლერებით ტახტზე ზის დედოფალი,  
მას ტიკით ღვინო წინ უდგას მინით.  
რა შესვამს ღვინოს, დაიწყებს ლილინს,  
ასწევს და გასწევს მხიარულიადა  
გულზედ მიიკრავს ორთავეს მჯილით.

ମୋହନ

ମୁଣ୍ଡ



ମୁ

ବ୍ୟାକ୍  
(ବ୍ୟାକ୍ ଲାଭ)

ମୁ



ମୁ

୧୦-୧୨ ନ-ଶି ମନତାତସେବଣୀ ଶାଖାମନ୍ଦିରଙ୍କିଳା ଆଲ୍ସନୀ:

ଗାମିନ୍ଦ୍ରାଜିନୀ ଏଲ୍ସନା:—ନାଥିନୀ ରଜ୍ଯେଶ୍ଵର.

ରଜ୍ୟେଶ୍ଵରିନୀ ଏଲ୍ସନା:—ଶ୍ରୀଲଙ୍କାନ ପ୍ରସାଦ ଦେଇରିବା.

## 1908 წლის ნაკადულის შინაარსი

### ლეგენდი

ყველი და ბულბული . . . . .	II	
პრენი . . . . .	VII	
სიზმარი (ვ. ქ. მ.) . . . . .	XI	
მიჯაჭული ამირანი . . . . .	—	აკაკისა.
ალექსი (ზღაპარი უმარტვილებისათვის) —		
* * (ინგლისურით) . . . . .	XII	
პირველი გაზაფხული . . . . .	IV	
მწყემსის სიმღერა . . . . .	V ვაუა-ფშაველისი	
არწივი და კაკაბი . . . . .	IV	
ზაფხული . . . . .	VII	
სოფელში . . . . .	IX ღ. ევდოშვილისა	
საახლწლო ნატერა თანდილისი . . . . .	I	
* * (ლექსი) . . . . .	IV შ. მლვიმელისა	
ბულბული დღე ჩატომ აღარ გალობს . . . . .	I	
* * (ლექსი) . . . . .	III თ. ჩაზიკაშვილისა	
სათიბი . . . . .	VIII	
მოსავალი . . . . .	X ბელიაშვილისა	
ტირიფი ასე ტიროდა . . . . .	II იასამანისა	

აღდგომი . . . . .	IV სოლ გ—ძინა კურივებულისა
გაზაფხული . . . . .	V დ. ელიოზიშვილისა
ობლის გაზაფხული . . . . .	VIII 3. ტუქესიშვილისა
დილა . . . . .	IX ქუჩიუკაშვალისა
მუხა . . . . .	X მჭედლიშვილისა
ერის დიდებას აკაკის . . . . .	XI დარიასი
ობოლი . . . . .	XII გელოვანისა

### მოთხერობები

თედოს ნიკორა . . . . .	XII განდეგილისა
ნაეთის სამეფოში . . . . .	VI
მოგონება აკაკის შესახებ . . . . .	XI ნინო ნაკაშიძესი
შვილები . . . . .	XII
ახალი წლის შეხეედრა სოფელში . . . . .	I
პირეელი ენძელი . . . . .	III
გაქირვების მასხარა . . . . .	IX
განთიადის მოლოდინში . . . . .	X ცქვიტისა
ველარც შენ მიკან, ჩემო მათიკ . . . . .	XII
მოგონება აკაკის შესახებ . . . . .	XI
ნაზარეთში . . . . .	I
მადლიერი ლომი (თარგზანი) . . . . .	IX ელ. ანტონოვსკისა
მადლიერი ლომი . . . . .	X
	XII



中原民族學院  
民族學研究所

ჩეენი ნიშა . . . . .	VII
გაზაფხული . . . . .	V
ზოფხული . . . . .	—
შემოღვრმა . . . . .	—
ზამთარი . . . . .	—
ნაძვის ხე . . . . .	I
გაზაფხულის მახარობელი . . . . .	IV
ამომავალი მზის ქვეყნის ბავშვები .	VIII
ვარსკვლავი მოსწყდა, ეიღოცა მო- კვდა (ლეგენდა) . . . . .	XII ოთხ კანდელაკისა
პენტის პესტალოცი — მაჩა ობლე- ბისა და ილმზრდელი კაცობ- რიობება . . . . .	VII
შეუბრალებელი . . . . .	V ანასტ ერისთავ- ხოშტარისა
რძლებს თინას და ფეფეს დილის ძი- ლი უყვარდათ . . . . .	I ჩაზიკაშვილისა
სათაგური . . . . .	II
— . . . . .	III
— . . . . .	IV
ნადირთა პატრონი . . . . .	III V ვაჟა-ფშაველასი
ნადირთა პატრონი . . . . .	IX
ერთი უყურეთ ტყესა და! . . . . .	X
უცნაური გალია . . . . .	IV
ხუთი წუთი . . . . .	— ვასო ჯაფარიძესი
მეფე და მოქერფე მღვდელი (თარ- გმანი). . . . .	VIII
პაწია მეგაზეთე . . . . .	I მის მაჭავარისანისა
თოვლში (თარგმანი) . . . . .	XII თ. ბაქრაძისა

მფარველი ანგელოზი	III	მკ. გაბაშვილისა
აღდგომა სოფელში	IV	სკ. უიტენისა და ბერძნებისა
გაუმიმდარი	V	ველჩებისელისა
—	VI	—
მუსიკის გავლენა ცხოველებზე	V	ი. მაჭავარიანისა
პოლბერის საუბარი	VI	—
—	VII	—
ძილები პოლიციის სამსახურში	II	ტარიკასი
ცელქის დლიურიდგან (გაბერტონისა)	V	—
თარგმანი.	"	—
ცელქის დლიურიდგან	VI	—
" " " "	VII	—
" " " "	VIII	ი. ნიკოლაშვილისა
" " " "	IX	—
" " " "	X	—
ცელქის დლიურიდგან	XII	—
შმ. ეერონიკას ჩიდრი.—ლეგენდა სელ-	I	—
მა ლაგერლეფისა.—თარგმანი	II	პატ. დ—ძისა
" " "	VII	—
" " "	VIII	—
" " "	X	—
განძი (ფრანგულით)	IX	ანტონისა
სამრეკლოზე (ფრანგულით).	V	ან. ამილახვარისა
ოქროს ბადე (გერმანულიდგან)	VIII	ა. უუმისთაველისა
ვინ არის აზნაური. (ლეგენდა)	VII	—
მერცხლისა და ჭივჭვის ომი.	X	—
ლამურა.	XI	აკაკისა
ვარდი და ეკალი.	—	—

## ისტორია და ეთნოგრაფია

სამშობლო ქვეყანა	I	
" " "	IV	
" " "	V	ალ. პილიძესი
" " "	VI	
საქართველო მეჩვიდმეტე საუკუნის ბო- ლოს.	III	
საქართველო მეჩვიდმეტე საუკუნის ბო- ლოს .	III	დ. კარიჭაშვილისა
შოთა რუსთაველი და მისი ვეფხვის ტყაოსანი.		ა. ხახანაშვილისა
" " "	IV	"

## მითოლოგია

ტროადის ომი	I	
" " "	IV	
" " ("მსხვერპლის შეწირვა)	VIII	ა. მიქაბერიძესი
" " ("შემრალება").	IX	
" " "	X	
ბ მ	5	

აკაკი წერეთელი.	XII ვინისა
ლევ ტოლსტოი (ოთხმოცი წლის იუ- ბილეეს დღეს).	IX ნინო ნაკაშიძესი

## ზღაპრები

ვაბუკი მეფის სიზმარი (ო. უაილდისა)	
თარგმანი.	III ი. მაჭავარიგანისა

გულისტანელი ქალი . . . . . VII ჩაწერილი მუხტაფა  
იმედიც კოსაქონელია. (ნაამბობი ყო- კონტრლირდეს შეირ-  
ლა-მუსეენ ონიკაშვილის მიერ). VII პირაკორისა

### ხელოვნება

ქანდაკება . . . . . V ვ. ნიკოლაძესი

### სამიცნიორო

წერლები ფიზიოლოგიდგან.	I
" "	III
" "	IV ივ. გომართელისა
" "	VII
" "	VII
ბოტანიკური საუბარი . . . . .	I
" "	II
" "	IV
" "	V
" "	VI 6. ქურდინისა
" "	VII
" "	VIII
" "	X
" "	XII
დედა მიწის აღსარება.	II ლ. ბოცვაძესა
წყალი. (პიგიენური საუბარი).	VI "

### ნეკროლოგი

ეპისკოპოსი ილექსანდრე	I ა. ყიფშიძესი
ედმონდ დე ამიჩისი.	V ი. მაჭავარინისა



სამითებულება  
და სამოწმეო მომსახურება

ვ. ი. ნიკოლაძე.	—	ლ. ბ.
ივანე გომარგისძე მაჩაბელი	VII	მ. დ.
სოლომონ გოშაძე	VII	" "
ვასილ მოსესძე პეტრიაშვილი.	X	ი. ნაკაშიძისა
ივანე რამაზის ძე თარხნიშვილი.	—	ა. მიქაბერიძესი

გასართობი, ამოცანები, გამოცანები, შარადები და  
რჩაუსები

გასართობი ს. რამაზიშვილისა . . . . .	I
ჯიუტი მგზავრები . . . . .	—
გამოცანები . . . . .	—
რებუსი . . . . .	—
გასართობი.—თეო კანდელაკისა . . . . .	II
გამოცანა . . . . .	—
რებუსი . . . . .	—
ხალხური ლექსები . . . . .	III
რეინის მგელი (ხალხური)	—
გამოცანები . . . . .	—
ანდაზები . . . . .	—
რებუსი . . . . .	—
შარადა.	IV
აკროსტიხი . . . . .	—
გამოცანა . . . . .	—
რებუსი . . . . .	—
შარადა.	V
პატარა თვალთმაქტი	—
ბეჭდის ცეკვა.	—
ანდაზები და გამოცანა . . . . .	—



რეპუბლიკური და ახსნა.		
თვალთმაქუმბა და მისი ახსნა.		
რეპუბლიკური და ახსნა.		
საჩქაფულო.		VII
გამარტული მანეთი.		—
რეპუბლიკური და ახსნა.		—
შარადა		VIII
ცხრიანი და ათიანი.		—
რეპუბლიკური და ახსნა.		—
ხალხური ლექსები.		IX
კიბორჩხალი და მისი შეილი (ეზოპის იგავი)		—
რეპუბლიკური და ახსნა.		—
შარადა.		X
ხალხური ლექსი.		—
გამოცანები.		—
თვალთმაქუმბა.		—
რეპუბლიკური.		—
გამოცანები.		XI
რეპუბლიკური.		—
გამოცანა		XII
ფულის დამალვა - თვალთმაქუმბა		—
რეპუბლიკური.		—

### ბიბლიოგრაფია საბავშო წიგნებისა

ალი და ქაჯი.—ქ. ყ—ანისა.	I
ქილილი და დამანი.—ი. მ—ისა	—
სხვები წარსულისა	II
შემოწირულება.	—
ხტუნია ციყვუნია.—თარგმანი ივ. გომართელისა	III
მოწაფის დღიური.—დე—შინისა	IV
ამბავი ცხოველთა სამეცნისი.—თარგმანი გრ. ყიფშიძისა.	V
ბიბლიოგრაფია საბავშო წიგნებისა. - სან ლინისა	VI
ბიბლიოგრაფია.—ნ. ლორთქიუანიძისა	X

# გიგლიორისაფის

ნელლო და პატრიში. მოთხრობა უიდისი. თანავ. ელ.  
წერეთლისა, გამოცემა „ჯეჯილისა“. რამდენი ნიკეტინი, სიცურე  
ცხლით სავსებავშეი იღუპება სიღარიბისან, უფრალავრა, შეგ-  
რამ რა ხდება ბუნებისან უზენაესი ნიჭით დაჯილდოვებულ  
პატარა ბავშვის გულში ეს შშვენივრად აქვს ოლწერილი უ-  
დას თავის მოთხრობაში „ნელლო და პატრიში“. ღირიბ,  
ღატაკ ბაბუასთან ცხოვრობს პატარა ნელლო (ბავშვის სახუ-  
ლია); პატრონისავან უდიგრად გალახულსა და ორმოში გა-  
დაგდებულს ძალლს პატრაშს წააწყდებიან ბაბუა და შეილი-  
შვეილი. ძალლს მოუვლიან, მოაჩინენ და მადლიერი პირუ-  
ტყვეი სამუდამოდ რჩება თავის კეთილის მყოფლებთან. პატარა  
ნელლოს უყვარს შეძლებულის მეწისქვილის ქალი. მაგრამ  
სიმდიდრით გაზეიადებული მეწისქვილე აღუკრძალავს ნელლოს  
მათთან სრინულს. ნელლო მხატვრობის ეტრუსის და თუმცა  
მჩსთვის; აზავის უსწივლებია, ისეთი ნიჭით ხატავს სურათს,  
რომ ჩას მიაქციეს ყურადღებას ერთი ცნობილი მხატვარი და  
ცდილობს, ბავშვს რითომე დაეხმაროს, მაგრამ გვიანლაა...  
სრუივისა და სიმშოლისაგან ნელლო კედება...

კედება უდიდესი მხატვარის—რემბრანდტის სურათების  
წინ. მათ სურათებთან მოსულიყო ყმაწეოლი, რომ უკანასკნელი  
წამები მწირე ცხოვრებისა ჩაინც ტკბილად გაეტარებინა. ბავ-  
შვის გვამთან მიღის ფირფთვე მეწისქვილე და მიპყავს თავისი  
პატარა ქალი; მხოლოდ უკანასკნელ წამებში გაიგო ჯიუტმა  
მეწისქვილემ, თუ რა პატარასანი და კეთილი ბავშვი რყო  
ნელლო.

ძალლი, მარტო ძალლი გამოდგა ნელლოსთვის ერთგუ-  
ლი: თუ სიცოცხლეში ხელს ულოკავდა ს-ყვარელით პაწია  
პატრონს, როცა მოკვდა, თითონაც ზედ დააკვდა.

ბავშვები დიდი სიამოვნებით წიაკითხავენ ასეთს წიგნაქს.

6. ლორთქიფანიძე

1909 წლის იანვრიდან 1910 იანვრამდის.

საემ-წვილო სურათებიანი კურნალი



# ნ ა კ ა ღ ლ ი

(წელიწადი მეხუთე)

წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემათ:

**24** წიგნი ეურნალი „ნაკადული“ მცირე წლოვანთათვის

**12** წიგნი ეურნალი „ნაკადული“ მოზრდილთათვის.

პრემია: მიეცემა წლიურ ხელის მომწერლებს 1909 წ.

„რას გვიამშობს ოთახი“ (ავენარიუსისა)

ეურნალის სერიალების კურნალის ს უწევს საბაზებოდ არჩევად სარედაქტოთ კამისია.

ფასი ეურნალისა: წლიურად ხუთი მანეთი. ნაკვეთის წლით სამი მან.

სამზღვარ ცარები: წლიურად შეიძი მანეთი. ნაკვეთის წლით ოთხი მან.

მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი სამი მან.— მოზრდილთათვის 12 წიგნი სამი მან.— ხელის-მოწერა შავიდება წლიურად და ნაკვეთი წლით. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილად.

ხელის მოწერა მიიღება:

1) „ნაკადულის“ რედაქტორი, ვოლოვინის პროსპ., ზუბალოვის სახლ., № 8, ყოველ-დღე 9—2 საათ., სამშაბათობით საღამოთიც.

2) წერა-კოსტიუსი გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზი, სასახლის ქუჩა, სახლი თავად-აზნაურიობისა. წლიურად ფასი ეურნალისა დამატებით, ესე იგი 36 წიგნისა რჩება ისევ 5 მანეთი.

ნაკადულის რედაქცია სთხოვს ხელის-მომწერთ:

ვისაც ეურნალის ნომრები დაკლდება, მიმართონ აგენტს ან რედაქტორს, არა უგვარნეს ერთის თვისა.

ვინც მასლის გამოგზვნის დასაბეჭდათ ვთხოვთ გარკვევით და სულთად იყოს დაწერილი.

რედაქტორი: მ. ი. დემურია.

გამომცემელი: თავ. პ. თუმანიშვილი.